# საერთო გაზეთი

№29 (440) • 26 ივლისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ვაჟა კაკანაძე: ბიძინა ივანიშვილი და ქართველი ხალხი განუყოფელია - ერთმანეთზე დიდი მეკავშირეები არც ერთს ჰყავს და არც მეორეს...





## „ვინც იქ ბოკერიას გვერდით იდგა, ყველა უთავმოყვარეო ადამიანია“...

## „ლეილ-აფგანიანი“ და დაშანტაჟებული საქართველო



როგორ დამთავრდება ოცდამეერთე საუკუნის უკიდურესად მძაფრსიუჟეტიანი, პოლიტიკურ-დეტექტიური შეფერილობის რომანი „ლეილ-აფგანიანი“...



**ვაჟა ბერიძე:** სააკაშვილი უკრაინასა და აფრიკაში - ეს არის ეგზოტიკური მოგზაური, მაგრამ სააკაშვილი საქართველოს ციხეში - ეს არის **სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე!**



## ნუ დატოვებთ ბავშვებს მარტო ინტერნეტში ჩასაფრებული მკვლელების პირისპირ!



## ვახტანგ ხარჩილავა:

# „ლეილ-აფგანიანი“ და დაშანტაჟებული საქართველო

ქალი ვარო, ლეილამ უნდა თქვას, მუსტაფაევამ.

— რას ჰქვია, ჩემი ჟურნალისტი ქმარი დაიჭირეთო და იმდენი ქნა, იმდენი ირბინა აღმა-დაღმა, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი და კონტრდაზვერვის უფროსი დროებით ჩამოაშორეს დაკავებულ თანამდებობებს.

მართალია, ჯერჯერობით არავინ იცის, ისეთი რა ჟურნალისტია ბატონი აფგანი, ან არის კი, საერთოდ, ჟურნალისტი (მისი თანამემამულე აზერბაიჯანელები ირწმუნებიან, რომ აფგანი ჟურნალისტი კი არა, წერა-კითხვის მცირემცოდნეა), მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ქალბატონი ლეილასათვის, მთელი ევროკავშირი, ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები ფეხზე დაეყენებინა და მისი მეუღლის საქმისთვის საერთაშორისო რეზონანსი მიეცა.

მისი მეუღლეო, კი ვამბობთ, მაგრამ, როგორც ბოროტი ხმები ირწმუნებიან, ლეილა და აფგანი არავითარი მეუღლეები არ არიან — ისინი არიან ერთი, ფაქტობრივად, იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრები, რომლებიც აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის წინააღმდეგ იბრძვიან, ხოლო ლეგენდა თანამეცხედრეობის შესახებ მეტი კონსპირაციულობის და უსაფრთხოებისთვის სჭირდებათ.

ამ ეჭვს ისიც აძლიერებს და ამტკიცებს, რომ ქალბატონ ლეილას მთელი ღამის განმავლობაში არ მოუკითხია და არ უძებნია უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული საყვარელი მეუღლე და მხოლოდ დილით აღმოაჩინა, რომ ქმარი გვერდით არ ეწვა.

კითხვაზე, რატომ არ ატეხა მან დაუყოვნებლივ განგაში კოლმეურნეობის მოედნიდან ჭონქაძის ქუჩამდე გზაში აორთქლებული აფგანის მოსაძებნად, ქალბატონმა ლეილამ მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა — ვიფიქრე, მეგობრებში გაისეირნა და ამიტომ არ დავუწყე ძებნაო.

მეგობრებში ღამღამობით სეირნობა სადაური წესია, ქალბატონო ლეილა?

არ ჰგავხართ თქვენ იმ ადამიანს, ქმარი ღამღამობით მეგობრებში სასეირნოდ გაუშვას და თვითონ მშვიდად იძინოს.

დავუშვათ, ეს ვერსია სწორი არ არის და აფგანი და ლეილა მართლა მეუღლეები არიან.

თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ქალბატონმა ლეილამ შესანიშნავად იცოდა, სად და რა საქმეზე მიდიოდა იმ ღამეს მისი მეუღლე და სწორედ ამიტომ არ დაუწყია მისი ძებნა.

ჩვენ არ ვიცით გამოძიების დეტალები, მაგრამ ქალბატონი ლეილას იმღამინდელი სატელეფონო ზარები რომ ამოვიღოთ, დარწმუნებული ვართ, იმ ღამეს ლეილა მუსტაფაევას არც პოლიციაში დაურეკავს, არც 112-ისთვის შეუტყობინებია რაიმე, არც საავადმყოფოები შეუწუხებია და არც ნაცნობმეგობრებისთვის მიუმართავს დახმარების თხოვნით.




თუ სიმართლეა ის, რაც აქ ვთქვით, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ზღაპარი აფგან მუხთარლის გატაცების შესახებ თავიდან ბოლომდე შეთხზულია და შეთხზულია ერთადერთი მიზნით — როგორმე ახსნა მოუძებნონ ფაქტს, თუ რატომ აღმოჩნდა მუხთარლი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე?!

ის წრეგადასული აჟიოტაჟი, ის ისტერიკული ხასიათის აქციები, რაც აფგან მუხთარლის საქმეს თავიდანვე აჰყვა, გვაფიქრებინებს, რომ რაღაც ძალები ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ, ცდილობენ მუხთარლის საქმიდან ისეთი სკანდალი ააგორონ, რაც სერიოზულ დარტყმას მიაყენებს არა მარტო საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის იმიჯს, არამედ საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობასაც, რომელიც აქამდე ხაზგასმულად მეგობრული და კეთილგანწყობილი იყო.

**„თუ აფგან მუხთარლის გატაცება მართლაც მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე, ამაში შეიძლება მონაწილეობას იღებდა რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახური ან რომელიმე კრიმინალური დაჯგუფება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები. ეს გამორიცხულია, რადგან ასეთი რამ რადიკალურად ეწინააღმდეგება ელემენტარულ ლოგიკას“.**

ცხადია, არავინ უარყოფს იმას, რომ აფგან მუხთარლის საქმე დეტალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა იქნას გამოძიებული, თუმცა ასევე დეტალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა იქნას გამოძიებული არსებობდა თუ არა და რას საქმიანობდა რაღაც საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც აზერბაიჯანის სხვა მოქალაქეებთან ერთად ქალბატონი ლეილა და აფგან მუხთარლი იყვნენ.

არსებობს გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რომ ეს ორგანიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურ საქმიანობას ეწეოდა პრეზიდენტ ილჰამ ალიევის და მისი გარემოცვის წინააღმდეგ — აწარმოებდა ჟურნალისტურ გამოძიებებს ალიევის და მისი გარემოცვის შესაძლო კორუფციული სქემების გაშიფვრის მიზნით, აქვეყნებდა პუბლიკაციებს იმის შესახებ, რომ ალიევის მმართველობა ეს არის ავტორიტარულ-დიქტატორული ტიპის მმართველობა, სადაც სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები, მჭიდროდ თანამშრომლობდა აზერბაიჯანის ოპოზიციურ პარტიებთან, კერძოდ, მუსავატურ პარტიასთან, რომელიც არ მალავს, რომ ალიევის ხელისუფლება შესაცვლელია და ა. შ.



როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებს ძალიან სურთ აზერბაიჯანში „არაბული გაზაფხულის“ მსგავსი „აზერბაიჯანული გაზაფხული“ მოიყვანოს და თანაც ამის გაკეთებას აზერბაიჯანის მეზობელი სახელმწიფოს, საქართველოს, ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციების მეშვეობით აპირებს. როცა ყველაფერი ეს ცნობილია, იმაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. როგორ იქნება ყოველივე ეს აღქმული და მიღებული აზერბაიჯანის ამჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან, რომელთან ურთიერთობის გაფუჭება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებში არანაირად არ შედის.

რა ვქნათ ახლა ჩვენ, ქალბატონი ლეილას, ბატონი აფგანის და საქართველოში სტუმრად და ხიზნად მყოფი ოპოზიციურად

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

განწყობილი სხვა აზერბაიჯანელი ქალბატონების და ბატონების ინტერესებს ჩვენი ქვეყნის ინტერესები შევწიროთ?

ამ ადამიანებმა თავიანთ სამშობლოში რაც უნდათ, ის აკეთონ, მაგრამ ჩვენი სამშობლოს პლაცდარმად გამოყენების უფლება, მათი ზრახვების და მიზნების განსახორციელებლად, არავის არ უნდა მიეცეს.

ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამასწინათ ისიც კი თქვა, მიმართოს საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს, რომ აფგან მუხთარლი საქართველოს გადმოეცეს. ამით ჩვენ ქართული დემოკრატიის შელახულ რეპუტაციას აღვიდგენთ და საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის თვალში კვლავ დავიბრუნებთ იმ სახელს, რომელიც აქამდე გვქონდაო.

აფგანის გადასარჩენად და ქართული დემოკრატიისთვის ნამუსის მოსაწმენდად ომიც ხომ არ გამოვუცხადოთ ამ ჩვენს მოძმე აზერბაიჯანს, ჰა?

ზემოთნახსენები იმ ქართველი პოლიტიკოსისა, დიდი ხანია, არაფერი მიკვირს, მაგრამ მიკვირს იმ ქართველების, რომლებიც აფგანს კი იცავენ, მაგრამ იცავენ საკუთარი სამშობლოს იმიჯის შელახვის ფასად და საკუთარ სახელმწიფოს ისეთ დანაშაულში სდებენ ბრალს, რომელიც გამოძიებით ჯერ არ დადგენილა, საერთოდ მოხდა თუ არა?

ძნელი სათქმელია, საიდან გაჩნდა თვითგვემის, თვითდაზიანების მიყენების ასეთი სადომაზოხისტური და მანიაკალური სიმპტომები ქართველთა ერთ ნაწილში, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება — ეს ქართველები სხვადასხვა მოტივებით ღიად აშანტაჟებენ საქართველოს და მათ რიგებს ბოლო ხანებში ქალბატონი ლეილაც მიემატა, რომელიც ისეთ მწვავე კრიტიკულ შენიშვნებს და შეფასებებს გამოთქვამს ქართული სახელმწიფოს და საქართველოს ხელისუფლების მისამართით, გეგონება, ვიღაცამ ქალბატონი მუსტაფაევა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე მონიტორინგის ჩასატარებლად და ზოგადად ჩვენს ზედამხედველად გამოაგზავნაო.

ქალბატონ ლეილას არ მოსწონს პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის მუშაობა, არ მოსწონს შს მინისტრის მუშაობა, არ მოსწონს უსაფრთხოების სამსახურის მუშაობა და, შესაბამისად, თავის ბრიფინგებზე და აქციებზე ძალიან მკაცრ შეფასებებს აკეთებს ხოლმე.

ვერ გეტყვით, რამდენად დააკმაყოფილა და რამდენად დააცხრო ქალბატონი ლეილას მრისხანება დაკავებული თანამდებობიდან სასაზღვრო დაცვის და კონტრდაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელთა დროებითმა ჩამოშორებამ, თუმცა გვაქვს ეჭვი, რომ ქალბატონი ლეილა ამით არ დაკმაყოფილდება და შეიძლება პრემიერ-მინისტრის, შსს მინისტრის და, ზოგადად, მთელი მთავრობის გადადგომა-გადაყენებაც მოითხოვოს.

როგორ მოვიქცეთ, შევუსრულოთ ქალბატონ ლეილას ყველა ულტიმატუმი?

ჯერჯერობით არავის დაუდგენია, არავის დაუმტკიცებია, არავის მოუპოვებია უტყუარი ფაქტები, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებმა რაიმე ფორმით რაღაც მონაწილეობა მიიღეს აფგან მუხთარლის დაკავებაში, მაგრამ მაინც საქართველოს ხელისუფლებას უყენებენ ბრალს ისე, რომ საქართველოს ბრალეულობის არანაირი სამხილი და მტკიცებულება არ არსებობს, სამაგიეროდ, აზერბაიჯანის მხარეს, რომელსაც ცოცხალი სამხილი და ცოცხალი მტკიცებულება, ცოცხალი მუხთარლი, ციხეში ჰყავს გამოკეტილი, არავინ ეკითხება, საიდან აღმოჩნდა ეს პიროვნება თქვენს ციხეშიო.

ადამიანის უფლებათა დამცველი პატივცემულო ორგანიზაციებო, თუ აზერბაიჯანული მხარე იტყვის, ქართველებმა დაგვიგდეს საზღვართან ტომარაჩამოცმული და ნაცემი აფგანიო, მაშინ აგებინეთ საქართველოს პასუხი, მანამდე კი აზერბაიჯანელებს წაუყენეთ თქვენი პრეტენზიები, საქართველოს კი თავი დაანებეთ, სანამ მისი ბრალის დამამტკიცებელ კონკრეტულ ფაქტებს არ მოიძიებთ.

ჩვენ კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ პირს, რომელმაც მთელი 30 წელი იმუშავა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სფეროში და რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობს ამ სამსახურების ლაბირინთებს.

გთავაზობთ მის კომენტარს უცვლელად!




— კატეგორიულად გამორიცხავ, რომ საქართველოს რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურას რაიმე სახით მონაწილეობა მიეღო აფგან მუხთარლის გატაცების ოპერაციაში, რადგან, ამ შემთხვევაში, წინასწარვე ნათელი იყო, რომ ქართული მხარის მონაწილეობა ამ საქმეში აუცილებლად გამჟღავნდებოდა.

ხომ ცხადია, რომ აფგან მუხთარლის მოკვლას არავინ აპირებდა. ის ცოცხალი უნდა გადაეცათ აზერბაიჯანული მხარისთვის, ცოცხალი მუხთარლი კი, როგორც ვთქვით, აუცილებლად იტყოდა, როგორ და რა ვითარებაში გაიტაცეს და, რა თქმა უნდა, ხელს ქართველებს დაადებდა.

ეს ძალიან მარტივად და უბრალოდ გასაშიფრი საფრთხე არ შეიძლება წინასწარ არ გაეთვალათ ქართული მხარის წარმომადგენლებს და, გამომდინარე აქედან, ისინი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას ამ ოპერაციაში, რადგან იცოდნენ, რომ მათი მონაწილეობა არ დაიმალებოდა.

ყველაზე საეჭვო ამ საქმეში ის არის, რაც ვიღაც-ვიღაცებს მთავარი სამხილი ჰქონიათ.

მხედველობაში მაქვს აფგან მუხთარლის განცხადება, გამტაცებლები ქართულად ლაპარაკობდნენო.

როგორი სულელი და არაპროფესიონალი უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს გააკეთოს და დატყვევებულს, რომელიც ხვალ და ზეგ შეიძლება მის მთავარ ბრალმდებლად იქცეს, მისი იდენტობის ამოსაცნობი ფაქტები ნებაყოფლობით მიართვას?

აფგანის გატაცებაში მონაწილე პირები ქართულად რომ ლაპარაკობდნენ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს პირები მაინცდამაინც ქართველები და მაინცდამაინც საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები იყვნენ.



სულაც არ არის გამორიცხული, ეს ყველაფერი კარგად გათვლილი და დაგეგმილი პროვოკაცია იყოს, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქართული სახელმწიფოს, როგორც რეგიონში ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის, იმიჯის შელახვა და დისკრედიტაციაა. თუ აფგან მუხთარლის გატაცება მართლაც მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე, ამაში შეიძლება მონაწილეობას იღებდა რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახური ან რომელიმე კრიმინალური დაჯგუფება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები.

ეს გამორიცხულია, რადგან ასეთი რამ რადიკალურად ეწინააღმდეგება ელემენტარულ ლოგიკას.

ამასწინათ ერთ-ერთი ქართული ტელევიზიის ეკრანზე გადიოდა მრავალსერიიანი ამერიკული ფილმი „სამშობლო“, რომელიც აშშ-ის, აგრეთვე სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მუშაობის თემატიკაზე იყო აგებული.

ვიღაც-ვიღაცებს ვურჩევ, ძალიან რომ არიან გაოცებულნი და გაკვირვებულნი, თუ როგორ შეიძლება 21-ე საუკუნეში ადამიანებს იტაცებდნენ, ნახონ ეს მართლაც საინტერესო ფილმი და დარწმუნდნენ, რომ მსგავსი ფაქტები დღესაც მრავლად ხდება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში.

ასე რომ, ნურავინ ნუ წარმოადგენს საქმეს ისე, თითქოს ეს აღმაშფოთებელი და საგანგაშო ამბავი მხოლოდ საქართველოში შეიძლება მომხდარიყო.

დარწმუნებული ვარ, თუ გამოძიება კვალიფიციურად ჩატარდება, აფგან მუხთარლის საქმეში იმდენი მოულოდნელი დეტალი გამოიკვეთება, რომ თავიდან ბოლომდე დაინგრევა ის ვერსიები, რომლებსაც დღეს გვთავაზობენ.

აი, ასეთი კომენტარი გააკეთა აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით პიროვნებამ, რომელსაც, როგორც გითხარით, დაზვერვის და კონტრდაზვერვის სფეროში მუშაობის ოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს.

ამასობაში კი ლეილა ხანუმი ძალიან გაგვიშინაურდა — დღე არ გავა, ეს მშვენიერი ქალბატონი რომელიმე ტელევიზიიდან არ შემოგვეფეთოს და თავის აფგანზე ჩვენ, ქართველებს, არ შემოგვტიროს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცის, სად, რომელი ქვეყნის ციხეში ზის მისი რაინდი და ისიც მშვენივრად იცის, რატომ და რისთვის ზის იქ...

გამოძიების მსვლელობისას გაირკვევა, როგორ დამთავრდება ოცდამეერთე საუკუნის უკიდურესად მძაფრსიუჟეტიანი, პოლიტიკურ-დეტექტიური შეფერილობის რომანი „ლეილ-აფგანიანი“...

# სააკაშვილი უკრაინასა და აფრიკაში – ეს არის ეგზოტიკური მოგზაური, მაგრამ სააკაშვილი საქართველოს ციხეში – ეს არის სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე!



*გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:*

**— ბატონო ვაჟა, ნიკა გვარამია შეშფოთებულია, თუ რატომ მოსთხოვა მას სახელმწიფომ გადასახადის გადახდა. ჯერ კიდევ 2001 წელს, „რუსთავი2“-მა დიდძალი ტექნიკა განბაჟების გარეშე შემოიტანა, შემდეგ, სააკაშვილის დროს, მილიონობით ვალი ჩამოეწერათ. ეს რამდენად ლოგიკურია? გვარამია გაიძახის: ტელევიზია დაიხურებაო. ამიტომ, გადასახადი არ უნდა გადაიხადოს?**



— „რუსთავი2“ იმ პერიოდში არსებობდა, როცა ხელისუფლებაში „ნაცები“ იყვნენ და იგი, ამ დროს, პროპაგანდის ინსტრუმენტი იყო — მისი ეკრანიდან არ ჩანდა სიდუხჭირე, გაჭირვებული ადამიანი, პრობლემები, იყო მხოლოდ მიხეილ მბრძანებლის ქებათაქება, ხოტბა, რასაც მედია-ექსპერტებიდან და მედიის კვლევით დაკავებული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან არავინ იმჩნევდა. სხვათა შორის, ხმას არც ის ფონდები იღებდნენ, რომლებიც თითქოს ჩვენში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას ზედამხედველობენ. აბსოლუტურად არანორმალური ვითარება იყო, რის შედეგადაც ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი ჩამოყალიბდა, ადამიანის უფლებები სერიოზულად ირღვეოდა. ამ დროს, „რუსთავი2“ ცოდვილი იყო. ახლა, გვეუბნებიან, რომ ეს ცოდვები უნდა მივუტევოთ. „რუსთავი2“ თუ ტელე-სივრციდან გაქრება, ამით ქვეყანას ბევრი არაფერი დააკლდება. ახლა, მათ, ისე უნდა იმუშაონ, როგორც სხვებმა. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი, თავის დროზე, დიდ ბიზნესებს ფლობდა და ახლაც, დღევანდელ საქართველოში მასთან დაკავშირებული ბიზნესები როგორც ეკონომიკაში ისე საბანკო სექტორში, ფართოდაა წარმოდგენილი. ჩემი აზრით, ყველა სერიოზულმა და საკუთარი თავის პატივისმცემელმა მედია-საშუალებამ, ფინანსური წლის ბოლოს, მისი შემოსავლების შესახებ ანგარიში უნდა გამოაქვეყნოს. ამიტომ, „რუსთავი2“-ის პრეტენზიები, ამ შემთხვევაში, უნიადაგოა. ხელისუფლებამ შესაბამისი მექანიზმების მეშვეობით, სამართლებრივ სივრცეში, სერიოზულად შეავიწროვა „რუსთავი2“, რომელსაც მის მესაკუთრეებთან დაკავშირებით უამრავი ცოდვები, დარღვევები აქვს. აქედან გამომდინარე, „რუსთავი2“, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მართალი არ არის. ორგანიზაციები, რომლებიც საკუთარ თავს დასავლეთის შუქურებად მიიჩნევენ, რეალურად კი, საქართველოში ავტორიტარული უმკაცრესი რეჟიმის ჩამოყალიბების წყარო აღმოჩდნენ. აქედან გამომდინარე, გვარამიას პროტესტი ყოვლად უსაფუძვლოა. ვფიქრობ, არაფერი კონფიდენციალური არ არის და კანონით რეგლამენტირებულ სფეროს არ სცდება ის, რომ მათი ვალების შესახებ ხელისუფლება ალაპარაკდა. პირიქით, მათი ვალებიც, შემოსავლებიც და გასავლებიც გამჭირვალე უნდა იყოს, რადგან რაც უფრო დიდი აუდიტორია, მკითხველი ჰყავს ამა თუ იმ მედია საშუალებას, მით უფრო გამჭირვალე უნდა იყოს მათი ფინანსები. ის პერიოდი როდესაც ამ ტელეკომპანიას მილიონობით ლარი, აბსოლუტურად, დაუმსახურებლად და დაუსაბუთებლად ჩამოეწერებოდა და ეპატიებოდა, ისტორიას უნდა ჩაბარდეს.

ახლა, მავანთა მიერ, ინტერნეტ-სივრცეც კი კონტროლდება. საზოგადოებისთვის იდეოლოგიური კლიშეების თავს მოხვევა ხდება, რასაც ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში ვერ გააკეთებთ. ამიტომ, „რუსთავი2“-მა კეთილი უნდა ინებოს და რაც გადასახდელი აქვს გადაიხადოს. ევროსასამართლომ, რომელიც მიიჩნევს, რომ „რუსთავი2“ ამ ქვეყანაში დასავლური ღირებულებების დამცველია, ცალსახად დაუჭირა მას მხარი და ფაქტობრივად, შეურაცხყოფა მიაყენა ქართულ მართლმსაჯულებას, რომელიც თურმე, იმ 9 წლის განმავლობაში ობიექტური, დამოუკიდებელი ყოფილა, ეს ცინიზმია.

ეს ყველაფერი უდაოდ, განსასჯელია, მაგრამ ვისი? — საზოგადოების, ხომ? ამ საზოგადოებაში მხოლოდ 30 არასამთავრობო ორგანიზაციის კარგად დაფინანსებული სპიკერები არ შედიან. საზოგადოება ხართ თქვენც, მეც. ახლახან, ერთ-ერთი გადაცემაში ლადო კახაძე გამოვიდა და ჩამოაყალიბა მოსაზრება, რატომ უნდა ვიმოქმედოთ გონივრულობის ფარგლებში ყოველგვარი იზმების გარეშე. მან, პრიმიტიული პროდასავლური რიტორიკით დაკავებული პირები გააჩუმა. კახაძეს ტელევიზიით ვერ ნახავთ, ვერც პრესაში. რატომ, არ აქვს მოსაზრება, გამოცდილი ადამიანი, ექიმი არ არის თუ ჭკუა-გონება აკლია?! რამდენი ლადო კახაძეა ასე გაყრილი ყურებადი მედიასაშუალებებიდან? — უამრავი. ეს იმიტომ ხდება, რომ რომელიღაც პრიმიტივების დირექტივები ხალხმა თავისად მიიღოს. ეს, ერთხელაც, უფრო უარესად დამთავრდება, ვიდრე 2012 წელს. ამ ხარვეზს ავსებს პრესა მიუხედავად იმისა, რომ სარეკლამო ბაზარი მცირეა. სამწუხაროდ, არც ბეჭდურ მედიას აქცევს ხელისუფლება ყურადღებას, მას არსად იწვევენ.

ამ ნაკლს თითქოს, ინტერნეტ-სივრცე ავსებს, მაგრამ იქ, მოსაზრებები ძალიან ამღვრეული, მოუწესრიგებელი, უკონტროლოა. წამყვან მედიად, წესით, გაზეთები უნდა ითვლებოდეს, როგორც დასავლეთშია. დასავლეთში სწორედ ასეთი გამოცემები აძლევს ტონს პოლიტიკას. არჩეული პრეზიდენტის ტრამპის მიერ „ფეიკ-ნიუსის“ ყალიბში ჩადებული „სი-ენ-ენი“, რომელიც მსოფლიო ტელე-მედიის ლიდერია, აღმოჩნდა, რომ სანდო არ არის. ასე ამბობს ტრამპი, რომელიც ნახევარზე ცოტა მეტი ამერიკელის ინტერესს გამოხატავს. აქ, სარეკლამო ბაზარი უნდა განვითარდეს, რაც ჯერ შეუძლებელია. თუ ასე გაგრძელდა, ეს მხოლოდ ცუდი შედეგების მომტანი იქნება.

**— ბატონო ვაჟა, წინა კვირას „პატრიოტთა ალიანსმა“ რუსეთის სათათბიროსთან შეხვედრები გამართა. საინტერესოა, რას ფიქრობთ, რუსეთი-საქართველო-ნატოს მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. რუსეთი და ნატო საქართველოში უნდა შევარიგოთ, სამივე ერთ ლოგინში როგორ დავეტევით?**

— ყველა ყველგან დავეტევით, მაგრამ მთავარი ეს არაა, არამედ ის თუ ვინ არის მომლაპარაკებელი. რეალურად, იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი ვინც მიიჩნევს, რომ რუსეთთან პირდაპირი დიალოგი აუცილებელია. ჩვენს მაგივრად რუსებს ამერიკელები ან ევროპელები რომ დაელაპარაკონ, ჩემი აზრით, გულუბრყვილო, ახლომხედველური და არაპრაგმატულია, რადგან რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობების მაგიდაზე საქართველოზე უფრო მნიშვნელოვანი იმდენი პრობლემა დევს, ჩვენი ქვეყანა პირველ ათეულში ვერ მოხვდება. ამის ერთადერთი გამონაკლისი არსებობს — თუ ჩვენ საოკუპაციო ხაზთან ამ ულიმღამო პროვოკაციებიდან სამხედრო დაპირისპირების ესკალაციაზე გადავალთ და აქ, საომარ მოქმედებებს გავაჩაღებთ და ყოველივე სამხრეთ-კავკასიური მასშტაბის რეგიონულ კონფლიქტში გადაიზრდება. აი, მაშინ დასავლეთი, აშშ იგრძნობს, რომ ეს სახიფათოა და პირველ რიგებში გადმოვიწევთ ისე როგორც დღეს სირიაა. ჩვენ, ყველა როგორც ერთი, შემართული უნდა ვიყოთ იმისკენ, რომ გვინდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ამავე დროს მივდივართ დასავლეთისკენ და თუ რუსეთიც წამოვა ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ჩვენთვის, ესა თუ ის ხელისუფლება ან ელიტის ნაწილი მიუღებელია. მაგრამ რუს ხალხთან საომარი არაფერი გვაქვს და მათაც უნდა ესმოდეთ, რომ ქართველებს მათთან საომარი არ აქვთ. თუ ჩვენ გავეთიშებით, გამოკითხვები ასეთ სურათს დაგვანახებს: რუსები მათი ქვეყნისთვის ყველაზე სახიფათოდ მიიჩნევენ პირველ ადგილზე აშშ-ს და მერე საქართველოს. ასე, უკვე, მათივე სახელმწიფო საინფორმაციო სივრციდანაც გადიხარ, რომლის აკრძალვასაც ლაშა ტუღუში ითხოვს, რაც აპრიორში დაუშვებელია იმიტომ, რომ მაშინ ინტერნეტიც უნდა აკრძალონ.

**— ბატონო ვაჟა, ბოლოს პოროშენკოს ვიზიტზეც მინდა გთხოვოთ შეფასება, რას ემსახურებოდა ყოველივე. ითქვა, რომ მან სააკაშვილი უნდა გადმოგვცეს თუმცა, როგორც გაირკვა უკრაინის კონსტიტუციით ეს შეუძლებელია.**

— მინდა წულუკიანს ვუთხრა, თუ 2015 წელს სააკაშვილის გადმოცემის მოთხოვნას უკრაინელებმა უარით უპასუხეს, შეგვიძლია მოთხოვნა გავიმეოროთ. მაგრამ მთავარი არის არა ის პოროშენკოს რა უნდა, არამედ რა უნდათ ამერიკელებს — მისცემენ თუ არა ისინი პოროშენკოს სააკაშვილის გადმოცემის უფლებას. პოროშენკოს ეს შეიძლება ძალიანაც უნდოდეს, მაგრამ ამერიკელები ამის უფლებას არ მისცემენ. მეორეც, ასეც რომ არ იყოს შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ხელისუფლებას დღეს ის პოზიციები არ აქვს, რაც 2013 და 2014 წლებში. მათ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება ხელს არ აძლევთ. სააკაშვილი უკრაინასა და აფრიკაში — ეს არის ეგზოტიკური მოგზაური, მაგრამ სააკაშვილი საქართველოს ციხეში, ეს არის სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ბიძინა ივანიშვილი და ქართველი ხალხი განუყოფელია – ერთმანეთზე დიდი მეკავშირეები არც ერთს ჰყავს და არც მეორეს...

*გვესაუბრება პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, ამჟამად, მეტროსადგურების ვაგზალი I -II და ნაძალადევის უფროსი, ბატონი ვაჟა კაპანაძე.*

**— ბატონო ვაჟა, მეტროპოლიტენის სადგურებს ხელმძღვანელობთ. შესაბამისად, გეცოდინებათ ხალხის მდგომარეობა, განწყობა და მისწრაფებები.**

— დღის განმავლობაში ქალაქის მეტროპოლიტენით, დაახლოებით, 300 000 მგზავრი გადაგვყავს. იმდენი წელიწადია, რაც ხალხთან მაქვს ურთიერთობა, ისეთ სამსახურებში ვმუშაობდი, რომ ისედაც კარგად ვხვდები და ვგრძნობ, ზოგადად, ხალხის განწყობას.

მართალია, სოციალური კუთხით ყველაფერი საუკეთესოდ არ არის, მაგრამ წინა რეჟიმთან შედარებით, ხალხი უფრო მშვიდად გრძნობს თავს.

ერთ ამბავს გავიხსენებ.

მამაჩემი თავის დროზე მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. ძალიან უყვარდა ლიტერატურა, ხელოვნება და, საერთოდაც, დიდი პატრიოტი კაცი იყო. პროფესიით გეოგრაფი, ისტორიკოსი, მოღვაწეობდა ჟურნალისტიკაში, იყო გაზეთ „წითელი დროშის“ რედაქტორი. კარგად იცნობდა მწერალ რასულ გამზათოვს. ერთხელაც გამზათოვმა საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტა. მამაჩემს, ცხადია, ძალიან გაეხარდა და დათქვეს: ბატონი რასულისთვის ჩვენ უნდა გვემასპინძლა. ჩვენთან დარჩებოდა სახლში.

მივედით მე და მამაჩემი აეროპორტში, ველოდეთ, ველოდეთ, მაგრამ არ მოვიდა ჩვენი სტუმარი. დავბრუნდით სახლში. მამა წუხდა – ვინ იცის, რა მოუვიდა?! მის ოჯახში რომ დავრეკო, ვაითუ, შევაშინო ისინი, მწერალთა კავშირში დავრეკო, უხერხულობა არ შევქმნაო, ამ მსჯელობებში გავიდა 2 საათი და ტელეფონი რეკავს. მამამ უპასუხა. რასული იყო. სად ხარო, – ჰკითხა მამაჩემმა. აეროპორტში რომ მელოდებოდით, დაგინახეთ, მაგრამ თქვენთან არ მოვედი, უკანა გასასვლელიდან გამოვედი, დავჯექი ტაქსში და წავედი ბაზარში, მოვიარე იქაურობა და ახლა მოვდივარ თქვენთანო,– უთხრა რასულ გამზათოვმა და დასძინა, ბაზარში ყველაზე კარგად ჩანს ხალხის განწყობა და მდგომარეობა. თქვენთან ერთად რომ წამოვსულიყავი, სიმართლეს ვერ გავიგებდი, თქვენი ან მოეხათრებიოდათ, ან მოერიდებოდათო.

მეც ასე ვარ, ხალხში ვტრიალებ და ვიგებ ხალხის განწყობას.

**— და, როგორია ეს განწყობა დღეს?**

— რა თქმა უნდა, მთლად ოპტიმისტური არა, მაგრამ იმედის თვალით უყურებს ხალხი მომავალს. პროცენტულად რომ ვიმსჯელოთ, მოსახლეობის 60–70% მაინც ხელისუფლების მომხრეა, ბიძინა ივანიშვილს უჭერენ მხარს და წუხილს გამოთქვამენ – რატომ მიგვატოვა ამ ადამიანმა, რა დავუშავეთ ასეთიო?! ხალხს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ბატონი ბიძინა არის გულწრფელი ადამიანი, პატრიოტი და ის ყოველთვის ქართველი ხალხის გვერდით უნდა იყოს.

ბატონ ბიძინას იმდენი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული, „რუსთავი-2“-ის და ნაციონალების დემაგოგია მის სახელს ვერაფერს დააკლებს.

გურიაში ერთ მოხუცთან მივიდა ამასწინათ ბიძინა ივანიშვილი და ასწლოვანი ხე სთხოვა – რამდენად მომყიდიო? ქალს უთქვამს: შენ უამრავი სიკეთე გაქვს გაკეთებული, ხეს ვერ მოგყიდი, გაჩუქებო. კი, მაგრამ, დიდი რაოდენობის თანხაზე უარს როგორ ამბობ, სხვა შემოსავალი გაქვსო? – უკითხავს ბატონ ბიძინამ. ჩემი შემოსავალი ზაფხულში დამსვენებლებია, სახლს ვაქირავებ, მე „ქუხნაში“ მძინავსო, უპასუხია მოხუცს. გამობრუნდა თურმე ბიძინა ივანიშვილი და თანამგზავრებს უთხრა: რამდენიც დაეტევა, იმდენი კოტეჯი აუშენეთ ამ ქალს ეზოში, მეტი დამსვენებელი რომ მიიღოსო.

ბატონ ბიძინას არც ერთი სახელმწიფო ნაკვეთიდან არ გადაუტანია არც ერთი ხე, ვინმემ რომ არ თქვას: ივანიშვილმა სახელმწიფოს საკუთრება მიითვისაო. მიდის ოჯახებში და ეკითხება ფასს, ყიდულობს ამ ხეს და გადააქვს ღამით, მოსახლეობა რომ არ შეწუხდეს.



ბატონი ბიძინა დენდროლოგიურ პარკს, პირველ რიგში, აკეთებს საქართველოსთვის, პარკის ტერიტორიაზე უნდა გაიხსნას ბიზნესცენტრი, სასტუმროები, საკონფერენციო და საკონცერტო დარბაზები, სადაც მოხდება მაღალი დონის შეხვედრები და სხვა ღონისძიებები.

ოზურგეთის ერთ სოფელს საბავშვო ბაღი არ ჰქონია და ერთ თვეში უმაღლესი სტანდარტის საბავშვო ბაღი აუშენებია ბავშვებისათვის.

**— ასეთ რამეებზე არავინ ლაპარაკობს.**

— იმიტომ რომ, თვითონ აქვს ნათქვამი, არც ინტერვიუებში ახსენოთ, არც არსად, რას ვაკეთებო და გაჩუმებულია რეგიონის ხელმძღვანელობაც. ჩემს მეგობარს, გურიის გუბერნატორს პირდაპირ უთხრა: ძალიან მეწყინება, ამ ამბავს პრესაში თუ გააჟღერებო.

სხვათა შორის, გურიის გუბერნატორი და მე ერთად ვიყავით „დასასავენებლად“.

**— დასასვენებლად?**

— დიახ. ასე გადაწყვიტა სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ და მატროსოვის ციხეში გამამწესა.

**— რა ბრალდებით?**

— ვითომდა მე ვიყავი მსოფლიო ტერორისტი.

მერე ბრალად დამდეს იარაღით ვაჭრობა, ნარკოტიკით ვაჭრობა, ტრეფიკინგი და მრავალი სხვა უმძიმესი ბრალდება, თუმცა არც ერთი არ დამტკიცდა. რა ექნათ და, ბოლოს ჩემს მანქანაში ჩადეს ცეზიუმი, რომელიც, მერე აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში არავითარი ცეზიუმი არ ყოფილა.

ბოლოს, როგორც იყო, 5 წელიწადი მაინც მომისაჯეს.

2012 წლამდე პატიმარი ვიყავი.

ჩემი პატიმრობის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი ციხეში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა იყო. თვით ციხის თანამშრომლებს შემოჰქონდათ ჩვენთან ამბები. თვითონაც გახარებული იყვნენ ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენით.

მათი ნაწილი დღეს უმუშევარია, ნაწილმა – თავი აღიდგინა და ისევ მუშაობს, თუმცა, უნდა ითქვას, პატიმრებზე არანაკლები წნეხის ქვეშ იყვნენ ისინიც...

**— ბატონო ვაჟა, 2012 წლიდან ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ქვეყანა მაინც სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. რა არის ამის მიზეზი?**

— ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ და აი, მივედით იქამდე, რომ ჩვენს მოსახლეობას მთავარი სათქმელი ვუთხრა: წეღან ვთქვი, მოსახლეობის 60–70%-ს კვლავ ბიძინა ივანიშვილის იმედი აქვს-მეთქი. ჩემი სამუშაოდან გამომდინარე, დღეში 100-ობით ადამიანს ვხვდები და ვიცი, საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნა არის ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდეს. ამ მიზნით მე და ჩემი თანამოაზრეები, ბატონები: აკაკი ბეგაშვილი — კახეთიდან, რამაზ ირემაძე — ხულოდან, ვლადიმერ გრიგალაშვილი — ბათუმიდან და სხვები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, სპეციალურ ბლანკებზე ხელმოწერებს ვაგროვებთ.

უკვე შეგროვილია ათასობით ხელმოწერა. პროცესი გრძელდება. ბოლოს ბატონ ბიძინას მივუტანთ ამ ხელმოწერებს და ვთხოვთ ლეგიტიმურად დაუბრუნდეს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ბიძინა ივანიშვილი სულით ხორცამდე ქართველია, უყვარს თავისი სამშობლო, ოჯახი, თავისი კუთხე – იმერეთი. საქართველო რომ არ უყვარდეს ამ კაცს, 500-მდე სხვადასხვა ძველი ვაზის ჯიშის აღორძინებაში თანხას არ დახარჯავდა.

მივიწყებული „თამარის ვაზი“ ჩამოიტანა კაცმა და გააშენებინა, აგერ, საგურამოში.

თუნდაც თანადაფინანსების ფონდი გავიხსენოთ და სხვა სიკეთეები.

არ უყვარს ამ კაცს ყველაფრის ლაპარაკი და აფიშირება. მაგრამ მამაძაღლებითაა სავსე საქართველო და ბალღამს და ჩირქსასხამენ კეთილი კაცის გაკეთებულ კეთილ საქმეებზე.

ბევრი პრობლემა დაგროვდა ქვეყანაში. აი, აქ გვჭირდება ბატონი ბიძინას დახმარება.

**— რა პრობლემებია ეს?**

— ძირითადად, ალბათ, მაინც საგარეო ურთიერთობები.

მისი გაწონასწორებული ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელია, ჩაერთოს საგარეო პრობლემების მოწესრიგებაში. ბიძინა ივანიშვილს აქვს ავტორიტეტი, რომელიც ამ ეტაპზე წაადგება ჩვენს სამშობლოს. მას დღეს არ აქვს ოფიციალური ლეგიტიმაცია. ჩვენ, ხალხი მივანიჭებთ მას ამ ლეგიტიმაციას, ჩვენ მას ჩავაბარებთ ხალხის ნდობის მანდატს.

რა ფორმით და როგორ იქნება ეს, საყოველთაო-სახალხო განსჯის საგანი უნდა გახდეს და ის ვარიანტი უნდა შეირჩეს, რაზეც საზოგადოება შეთანხმდება. ჯერ კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას რაღაც მძლავრი და სერიოზული ინსტიტუტი, ორგანიზაცია, რომელშიც აქტიურად იქნება ჩართული სამოქალაქო საზოგადოება და რომლის სათავეში ბატონი ბიძინა უნდა იდგეს, როგორც ქართველი ხალხის რჩეული, როგორც მისი ინტერესების მთავარი დამცველი და ამ ინტერესების მთავარი გამხმოვანებელი.

არავის ეგონოს, რომ რაღაც რომანტიკულ-უტოპიურ იდეას ვთავაზობდეთ ქვეყანას და ხალხს.

სამოქალაქო საზოგადოებაზე დაყრდნობილი ასეთი ინსტიტუტები და ორგანიზაციები მრავალ ქვეყანაში არსებობს და მათ სიტყვას დიდ ანგარიშს უწევენ ამ ქვეყნების მთავრობები.

ამ მიმართულებით საქართველოს უძველესი ტრადიციები და უმდიდრესი გამოცდილება აქვს, რაც, სამწუხაროდ, დავივიწყეთ, რის შედეგადაც მივიღეთ ერთმანეთის მიმართ გაუცხოებული, დაქსაქსული თაობები, რაც, ცხადია, ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ნორმალურ განვითარებაზე. გახსოვთ, ალბათ, 90-იანი წლების შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის 27 წლის განმავლობაში მსგავსი ორგანიზაციის დაფუძნების იდეა რამდენჯერმე გაჩნდა. გავიხსენოთ, თუნდაც, ეროვნული თანხმობის დარბაზის იდეა.



მეტსაც გეტყვით, მსგავსი იდეა თვითონ ბატონ ბიძინა ივანიშვილსაც ჰქონდა. ხომ გახსოვთ, პოლიტიკაში შემოსვლისთანავე როგორ შეკრიბა მან ძალიან საინტერესო ადამიანები სხვადასხვა დარგებიდან. შემდეგ იყო და არის დღემდე არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“.

ასე რომ, ბატონი ბიძინა ყოველთვის გრძნობდა, საზოგადოებრივი აზრის, საზოგადოებრივი ინიციატივებისა და იდეების შემკრები რაიმე ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობას.

დღეს ამგვარი ინსტიტუტის დაფუძნების საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრით დადგა.

**— მან იცის ამის შესახებ?**

— რა თქმა უნდა, არა. საქმე თითქმის ბოლომდეა მიყვანილი. მივუტანთ ხელმოწერებს თბილისიდან, კახეთიდან, გურიიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, სამეგრელოდან, ქვემო ქართლიდან, სხვა რეგიონებიდან და ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

**— ბატონო ვაჟა, არ ფიქრობთ, რომ დიდი რისკების წინაშე დგებით? ბევრ მტერს რომ იჩენთ, ეს გათვალისწინებული გაქვთ?**

— მთელი ცხოვრება, რომ იტყვიან, დანის პირზე მაქვს ნასიარულევი, ახლაც ასე ვარ.

წეღანაც გითხარით, მე ხალხში ვტრიალებ, არ მჭირდება მეფე გიორგივით გლახის ფორმის ჩაცმა და ხალხში გარევა, ისედაც მათთან ერთად ვარ. შემთხვევით არ გამხსენებია წეღან სულმნათი რასულ გამზათოვი. იმან ბაზარში გაიგო ხალხის განწყობა, ქვეყნის მაჯისცემის ხმა, ასე ვარ მეც.

დიახ, უამრავი მოწინააღმდეგე გამოგვიჩნდება, მტრებსაც მოვიმრავლებთ, მაგრამ მჯერა, რომ საქვეყნო საქმეს ვაკეთებთ და ეს ჩვენს სამშობლოს სჭირდება.

აქვე მოგახსენებთ, რომ ამ ინიციატივის განხორციელებისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემდეგ ვმუშაობ. ჩვენი შეხვედრაც არასამუშაო დროს დავგეგმე. ასე რომ, სამსახურის საქმეებს არ ვღალატობ...

ბიძინა ივანიშვილი და ქართველი ხალხი განუყოფელია — ერთმანეთზე დიდი მეკავშირეები არც ერთს ჰყავს და არც — მეორეს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## თამარ რამიშვილი:

# ნუ დავტოვებთ ბავშვებს მარტო ინტერნეტში ჩასაფრებული მკვლელების პირისპირ!

### ბოლო სამი წლის განმავლობაში, 8-დან ოცი წლამდე ასაკის 162-მა ახალგაზრდამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა...



**არასრულწლოვანთა სუიციდის გახშირებული ფაქტების შეჩერების, პრევენციის მექანიზმების ამოქმედებისა და ინტერნეტის მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით, ქართველმა პედაგოგებმა ფსიქოლოგებისა და იურისტების ჯგუფთან ერთად, სპეციალურ პროგრამაზე მუშაობა დაიწყო. პროგრამის მიზნებსა და განხორციელების გზებზე 55-ე სკოლის პედაგოგი, საზოგადოება „სასოება“-ს დამფუძნებელი თამარ რამიშვილი გვესაუბრა:**



— ბოლო დროს ვირტუალური სამყაროდან წამოსულმა პრობლემებმა დაგვანახა, რომ არასწორი გზით მივდივართ, რომ ჩვენი შვილები დაუცველები არიან, რომ ბევრი რამისთვის არ აღმოვჩნდით მზად.. შსს-ს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ბოლო სამი წლის განმავლობაში, 8-დან ოცი წლამდე ასაკის 162-მა ახალგაზრდამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მათ შორის არიან წარმატებული მოსწავლეები საშუალო და საშუალოზე მაღალი შესაძლებლობების მქონე ოჯახებიდან. სამწუხაროდ, საგანგაშო ციფრების მიუხედავად, ქვეყანაში დღემდე არ არსებობს სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელიც სხვათა შორის, კარგად მუშაობს სასჯელაღსრულებით სისტემაში. ერთ-ერთ ინტერვიუში უსაფრთხოების ექსპერტი, კავკასიის აკადემიის დირექტორი და ინსტრუქტორი კიბერუსაფრთხოების საკითხებში ლაშა პატარაია, ამბობს: „ინტერნეტი სავსეა საფრთხეებით. უბრალოდ, საუბარია ქეისზე, რომელშიც ავტორებს არ გაუმართლათ და ზედმეტი ყურადღება მიიქციეს. რეალურად, საფრთხე ბევრად დიდია.“ სრულიად ვიზიარებ ამ მოსაზრებას და ვფიქრობ, რომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს პრევენციის პროგრამის ამოქმედება.

**— როგორც ჩანს, მოზარდთა სუიციდის პრევენციისთვის სკოლებში წინა ხელისუფლების მიერ გაუქმებული ფსიქოლოგის შტატის აღდგენა საკმარისი არაა.**

- ფაქტია, რომ მხოლოდ ეს საკმარისი არაა და ვერც იქნება, რადგან პრობლემა გაცილებით ფართო და მრავალმხრივია. მოგეხსენებათ, როგორი მითქმა-მოთქმა ატყდა საატესტატო გამოცდებზე „ჩაჭრილი“ მოსწავლეების რაოდენობის გამო. საინტერესოა, რატომ ველოდით სხვა შედეგს, როცა არაფერი იცვლება – არც პროგრამები, არც კლასებში ბავშვთა რაოდენობა (წარმოუდგენელია, 30 მოსწავლესთან მასწავლებელმა სასურველი შედეგი მიიღოს) და არც სახელმძღვანელოები. თუ ყველაფერი უცვლელია, უკეთესი შედეგები რატომ გვექნებოდა? ყურადღების გადატანა იმაზე, რომ ბევრ მასწავლებელს პროფესიული უნარების გამოცდა ჩაბარებული არ აქვს, პრობლემას ვერ აღმოფხვრის. სასწავლო წლის დასაწყისში ითქვა, რომ ეს გამოცდა მოიხსნებოდა და ტრენინგებად გადაკეთდებოდა, რომლის შემდეგ პედაგოგი კრედიტქულას მიიღებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნია, რომ პედაგოგებმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ როგორც ზოგადი, ასევე ბავშვის ფსიქოლოგია, მაგრამ ეს მხოლოდ გამოცდის ჩაბარებით არ მოხერხდება. ფაქტია, რომ ამდენი წელია პედაგოგები გამოცდებს აბარებენ, მაგრამ უკან-უკან მივდივართ. ათასჯერ ითქვა და დაიწერა, რომ პედაგოგის მიერ გაწეული შრომა და კრედიტქულების დაგროვების წესი შეუსაბამოა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. აღარც „ქაღალდომანიის“ დასრულებას უჩანს პირი და ამდენ გაწამაწიაში ბავშვი გვერდზე გვრჩება. ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით და ეს მხოლოდ ცოდნის დონეს არ ეხება.

**— ოდესმე, თუ შეგიმჩნევიათ მოსწავლისთვის, რომ ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს და დახმარება ჭირდება?**

— რა თქმა უნდა. არ დავაკონკრეტებ, მაგრამ მახსენდება შემთხვევა, როცა მექვსე კლასელი გოგონა ძალიან განიცდიდა დედის მოუწესრიგებელ პირად ცხოვრებას. ასეთ შემთხვევებში ძალიან ფრთხილი მოქმედებაა საჭირო. სკოლის ფსიქოლოგის აქტიურად ჩართვა ძნელია, რადგან არ ვიცით, ამაზე მშობელს რა რეაქცია ექნება. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა დედამ შვილის პრობლემები შენიშნა და პედაგოგთან შეთანხმებით, ფსიქოლოგთან მიიყვანა, მაგრამ მაგრამ ვირტუალური გავლენა იმდენად ძლი ერი იყო, ტრაგედია კინაღამ მოხდა. მასწავლებელი ამჩნევს, როცა ბავშვს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, მაგრამ მატერიალური მდგომარეობისა თუ სხვა მიზეზების გამო, ყველა მშობელს არ აქვს შვილის კერძო ფსიქოლოგთან მიყვანის საშუალება. ზოგჯერ ბავშვს გარეგნულად არც ეტყობა, რომ ფსიქოლოგის დახმარებას საჭიროებს – ძალიან კონტაქტური და მოწესრიგებულია, კარგად სწავლობს. მხოლოდ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ ვიგებთ, რომ ბავშვი ვირტუალური სამყაროდან სიცოცხლისათვის საშიშ გავლენას განიცდიდა და ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა. სამწუხაროდ, ასეთი არაერთი შემთხვევა მოხდა. **ყოველივე ამის შემდეგ მიჩნდება კითხვა – რატომ არის მოზარდის ფსიქიკისთვის საფრთხის შემცველი საიტები ხელმისაწვდომი? რატომ არ ვბლოკავთ, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია, ამას ბევრი ფული სჭირდება? რატომ ვაძლევთ ათასი ჯურის კრიმინალს ბავშვებზე ზემოქმედების უფლებას და საშუალებას? რატომ ვტოვებთ ჩვენს შვილებს დაუცველს?**

**— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ვირტუალურ სამყაროზე ბავშვების ასეთი ძლიერი დამოკიდებულება?**

— ინტერნეტი გარკვეულ დამოკიდებულებას იწვევს, თანაც ბავშვები დარჩენილები არიან ყალბი ავტორიტეტებისა და ვირტუალური სამყაროს ამარა. ხედავენ, როგორ დავცინით სარწმუნოებას და ტრადიციებს, ამიტო ხშირად არც სახლში, არც ეკლესიაში და არც საზოგადოებაში ავტორიტეტები არ ჰყავთ. ბევრი მშობელი მუშაობს და საშუალება არა აქვს, რომ შვილი აკონტროლოს. ზოგჯერ სხვა გამოსავალიც არ არის, რადგან სპორტული თუ სახელოვნებო წრეები ფასიანია, ამიტომ ქუჩის საფრთხეს რომ აარიდოს, ბევრ მშობელს ურჩევნია, შვილი სახლში, კომპიუტერთან ჰყავდეს, თუმცა იმას ვერ აცნობიერებს, რომ ვირტუალური სამყარო უამრავ საფრთხეს შეიცავს. ბევრ მშობელს ჰგონია, რომ თუ შვილს კარგად აცმევს და აჭმევს, ბავშვს ყველა პრობლემა მოხსნილი აქვს და მისი მოსმენა აუცილებელი არაა. ბავშვებს კი ვინმესთან საუბრის და „გულის გადაშლის“ მოთხოვნილება აქვთ და ზოგჯერ ამას იმ პედაგოგთან აკეთებენ, ვისაც ენდობიან და უყვართ, მაგრამ აქაც ბარიერები ხვდებათ..

**— რომელ ბარიერებს გულისხმობთ?**

— მომისმენია ასეთი მოსაზრებაც, რომ ბავშვს მასწავლებელი და დამრიგებელი არ უნდა უყვარდეს(!!) მე კი მგონია, რომ თუ იმ საზოგადოებაში, სადაც ნდობისა და სიყვარულის დეფიციტია, ბავშვი აღმოაჩენს ადამიანს, რომელიც უყვარს და ენდობა, ამაში ცუდი არაფერია. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, პედაგოგთა, ფსიქოლოგთა და იურისტთა ჯგუფმა გადავწყვიტეთ, დაგვეწყო ამ პრობლემაზე მუშაობა. ვიცით, რომ ამ საკითხზე ძალიან ფრთხილად უნდა ვისაუბრთ და ვიმუშაოთ, ამიტომ მოვიძიეთ ფსიქოლოგთა ნაშრომები არასრულწლოვანთა სუიციდის შესახებ. დავიწყეთ ბრიტანეთის, ამერიკისა და რუსეთის ფსიქოლოგთა და პედაგოგთა გამოცდილების შესწავლა, სადაც მსგავსი თამაშები და სუიციდის შემთხვევები ხშირია. დავუკავშირდით ამერიკის რამდენიმე საზოგადოებას, რომლებიც უკვე მუშაობენ ამ პრობლემაზე. გამოვყოფ ერთ-ერთი ამერიკული სკოლის დირექტორის პროგრამას –„ თანატოლები თანატოლებისთვის''. ამ პროგრამის ამოქმედების შემდეგ იუტას შტატის სამას სკოლასა და კიდევ სხვა ცხრა შტატში, სადაც თითქმის ყოველ თვე ხდებოდა არასრულწლოვანთა თვითმკვლელობა, უკვე ცხრა წელია, სუიციდის შემთხვევა აღარ ყოფილა. სამწუხაროდ, მივეჩვიეთ, რომ „ურმის გადაბრუნების“ შემდეგ ავჩოჩქოლდებით, ავხმაუდებით და რაღაც პერიოდის შემდეგ, ყველაფერი გვავიწყდება. იქნებ, შევცვალოთ ეს მანკიერი ტრადიცია და პრობლემას მანამდე მივხედოთ, სანამ მორიგი „ურემი“ გადაბრუნებულა..

ნელი თორდია
571 35 36 88



# „ვინც იქ ბოკერიას გვერდით იდგა, ყველა უთავმოყვარეო ადამიანია, რომელსაც არა აქვს იმის განცდა, რომ ქვეყნის წინაშე დამნაშავეები არიან“...

სანამ გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის ყოფილი წარმომადგენელი და „ქართული მარშის“ ორგანიზატორები ერთმანეთს „გრუს“-ს აგენტობაში ბრალს სდებდნენ, „ევროპულმა საქართველომ“ 23 ივლისს აღმაშენებლის გამზირზე აქციის „არა რუსულ ფაშიზმს“ ჩატარება დაანონსა. აქციის ორგანიზატორებს არ განუმარტავთ, რატომ აპროტესტებენ კონკრეტულად, რუსულ ფაშიზს და არა ზოგადად, ფაშიზმს, როგორც იდეოლოგიას და მოვლენას. გაუგებარი დარჩა „ევროპული საქარ-




თველოს“ მიერ ორგანიზებული აქციის სლოგანიც – „ჩვენ უფრო მეტნი ვართ“, რადგან „ქართულმა მარშმა“ აღმაშენებლის გამზირზე მათზე რამდენჯერმე მეტი ადამიანის მობილიზება მოახერხა.

„ევროპული საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ აქციას ლგბტ თემის წარმომადგენლები შეუერთდნენ. ”ევროპული საქართველო” გახლავთ ის მცირე გამონაკლისი,რომელიც ყოველთვის აქტიურად მხარს უჭერდა ლგბტ თემს, სექსუალურ უმცირესობებს. დღეს დადგა ერთგვარი ვალის დაბრუნების დრო. ჰომოფობი ნაციონალისტები ცდილობენ ხელი შეუშალონ ევროპული საქართველოს მშვიდობიან აქციას.მთელს ლგბტ თემს მოვუწოდებ მოვიდეს აღმაშენებლის გამზირზე 20 საათზე. დღეს დადგა მომენტი,როდესაც ჩვენ ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ და სათანადო ადგილი მივუჩინოთ ჰომოფობებს.” – ნათქვამია ლგბტ თემის განცხადებაში.

ყოფილი ნაციონალების ორგანიზებულ აქციაზე ჰომოსექსუალების გამოჩენა არავის გაკვირვებია, თუმცა, ბევრისთვის მოულოდნელი იყო არც თუ ისე დიდი ხნის წინ, „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალი „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელთა ხილვა.

„დღეს მე არავინ არ გამიკვირდა ვინც ბოკერიას გვერდით იდგა, რადგან სულით გამყიდველისთვის ეს ჩვეულებრივია, მაგრამ გირგვლიანის ადვოკატი შავგულიძე, რომ დღეს ბოკერიას გვერდით იდგა ეს სრული შოკი იყო! ბატონო შალვა, კოლეგა ხართ და მეტს ვერ დავწერ მაგრამ დაე საზოგადოებამ შეგაფასოთ თქვენ თქვენი დღევანდელი ნაბიჯის გამო!”, – ასე გამოეხმაურა უფლებადამცველი ინგა ბერიკაშვილი „ევროპული საქართველოს“ ორგანიზებულ აქციაზე „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის გამოჩენას. აქციის დასრულების შემდეგ, „ტაბულა“-ს ხელმძღვანელმა თამარ ჩერგოლეიშვილმა საკუთარი ფეისბუკის გვერდზე დაწერა, რომ „ევროპული საქართველო“-ს დაანონსებულ აქციაზე წასვლა ნაციონალების“ წევრებსაც სურდათ, თუმცა სააკაშვილმა აუკრძალაო.

როგორც ჩანს, „ევროპული საქართველოს“ წევრებს შარშან, ლაიფციგში მიგრანტების საწინააღმდეგოდ გამართული მრავალათასიანი აქცია, რომელზეც ხელისუფლების საიმიგრაციო პოლიტიკა გააკრიტიკეს და გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს გადადგომისკენ მოუწოდეს, პუტინის დაფინანსებული ჰგონიათ. მათი ლოგიკით, სამი თვის წინ, ფინეთში არალეგალი მიგრანტების საწინააღმდეგოდ დაწყებულ კამპანია, ლოზუნგით „ფინეთი და სამშობლო უპირველეს ყოვლისა“ პუტინის დაფინანსებულია და საფრანგეთიდან უკანონო მიგრანტების დეპორტაციის მოთხოვნით გამართულ მილიონიან საპროტესტო აქციებშიც ვლადიმერ ვლადიმერის ძის ხელი ურევია.

სხვათა შორის, გადაცემა „რეაქციაში“ „ქართველთა მარშის” ერთ-ერთმა ორგანიზატორმა სანდრო ბრეგაძემ ოჯახის, შვილებისა და სამშობლოს წინაშე, ბიბლიაზე დაიფიცა, რომ „ქართული მარშის“ ორგანიზატორებს რუსეთთან არავითარი კავშირი არა აქვთ. უკანონო მიგრაცია რომ მთელი მსოფლიოსთვის მტკივნეული თემაა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის სიტყვებმაც დაადასტურა, რომელმაც „ქართველთა მარშის“ შესახებ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას აღნიშნა, რომ არალეგალების თემა მის ქვეყანაშიც სენსიტიურია, თუმცა „ევროპული საქართველო“ და მისი მხარდამჭერები „პირველ ჩვენებას“ არ ცვლიან, რადგან ნებისმიერი პატრიოტული და კეთილშობილური იდეის დისკრედიტაცია ასე უფრო მარტივია.

აქციასა და ჩაშლილ კონტრაქციაზე სოციალურ ქსელებში ცხარე პოლემიკა გაიმართა. საზოგადოების ნაწილმა „ქართველთა მარშის“ ხელმძღვანელები სიტყვის გატეხვაში დაადანაშაულა, ნაწილმა კი „ევროპულ საქართველოს“ წევრები გერმანელ ტყვეებს შეადარა, რომლებიც 1945 წელს ზუსტად ასე, დაცვის კორდონით ჩაატარეს აღმაშენებლის გამზირზე.

„ზოგიერთი შემოგზავნილი ნაძირალა, რომელიც არც მარშზე იყო და არც აქციაზე, რაღაც პრეტენზიებს აყენებს – ბოკერია როგორ გაატარეთო? მოსულიყავით და არ გაგეტარებინათ, ვინ დაგიშალათ? ან პატრიარქს რატომ შეხვდითო? რა უნდა გვეთქვა პატრიარქისთვის, არ გვცალია თქო? თუ უნდა დავმალულიყავით ან არ უნდა დაგვეჯერებინა პატრიარქისთვის? რა უნდა გვეთქვა, უწმინდესო, თქვენ არ იცით, ჩვენ მეტი ვიცით, თქვენ არ გინდათ საქართველოსთვის კარგი და ჩვენ უფრო დიდი ქართველები ვართ თქო? მაინტერესებს ერთი, რას უპასუხებდით საქართველოს სინდისს, ერთადერთ ნათელ წერტილს, ბრძენ ადამიანს – პატრირქს? მოვქცეულიყავით ისე, როგორც ეკლესიის მტერი ბოკერია მოიქცა და ყურიდან ყურში გაგვეტარებინა პატრიარქის დიდი თხოვნა? აი, ვინც ამას იზამდით, იმასთან არც თანამებრძოლობა მინდა, არც მეგობრობა და არაფერი“ – განაცხადა აქციის დასრულების შემდეგ „ქართველთა მარშის“ ერთ-ერთმა ორგანიტორმა სანდრო ბრეგაძემ.



**რას ფიქრობს აღმაშენებლის გამზირზე განვითარებულ მოვლენებზე? ამ კითხვებით ხათუნა ხოფერიას დავუკავშირდით:**

– მე მქონდა მცდელობა, რომ ლალი მოროშკინას გადაცემიდან მიმემართა „ქართული მარშისთვის“ და მეთხოვა, 23 ივლისს აღმაშენებელზე საერთოდ არ გამოსულიყვნენ. არ ყოფილიყო ეს განცდაც და მით უმეტეს, „იმედის“ შემახილები, რომ აი, ნახევარი აღმაშენებელი უკვე გაიარეს, აი, უახლოვდებიან და ა.შ... ეს იყო უთავმოყვარეოთა მარში და ვინც იქ ბოკერიას გვერდით იდგა, ყველა უთავმოყვარეო ადამიანია, რომელსაც არა აქვს იმის განცდა, რამდენი ადამიანი გააუბედურეს, არა აქვთ იმის განცდა, რომ ქვეყნის წინაშე დამნაშავეები არიან, არა აქვთ განცდა, რომ მათი ხელით აუპატიურებდნენ ქართველ ბიჭებს.



– **დღის მთავარ ანეგდოტად მაინც ყოფილი ნაციონალების მიერ ძალადობის დაგმობა იქცა..**

– ამ ადამიანებმა მშვენივრად გამოიყენეს ყველაფერი საიმისოდ, რომ ხუთი წლის თავზე, აღმაშენებლის გამზირზე ხმამაღლა ეგინებინათ ბიძინა ივანიშვილი.

– **აქციაზე, სადაც ივანიშვილს აგინებდნენ, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „რესპუბლიკელების“ გამოჩენაზე რა აზრის ხართ?**

– ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც მიმართულებით მივდივართ.. ძალიან ნიშანდობლივი იყო უგულავას განცხადება, რომ ფაშიზმი მოდის ქართული ოცნებიდან. მერე მცირე პაუზა გააკეთა და გაასწორა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილიდანო. ანუ უგულავას „ქართულ ოცნებაში“ ეგულება ხალხი, რომელიც მის პოზიციაზე დგას. ალბათ, ცუდი არ იქნება, თუ იმ ადამიანებს დაასა-

დოლიძესთან მიმართებაში, თვითონ ამ გოგონას ფაქტორმა შემაცბუნა და გამაღიზიანა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ეს ბავშვი კონფლიქტების დარეგულირებაში არის ჩართული. ამ მიმართულებით ჩვენც გვაქვს რაღაც გამოცდილება და ვიცით, რომ ხელისუფლებისასთან შეთანხმებისა და მისი ნებართვის გარეშე, დოლიძე ვერავითარ შეხვედრებს და მოლაპარაკებებს ვერ გამართავდა. ამბობს, რომ ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული, ჩვენ კი მის გვერდით ვხედავთ ქართველთმოძულე ადამიანს, ჩვენი შვილების და ძმების მკვლელს. ამ ფაქტმა უფრო დამაინტერესა, ზოგადად, ვინ არის ეს ადამიანი და რატომ აძლევს თავს უფლებას, რომ მოწონს თუ არ მოწონს, ქართულ საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენოს, „კლიშეებით“ შეამკოს და თან იძახოს, რომ ექსპერტია? რაც შეეხება აღმაშენებლის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს, ბედნიერებაა, რომ რამდენიმე ათეულზე მეტი არ აღმოჩნდა ნაძირალა, ვინც აქციის ორგანიზატორებთან ერთად აღმაშენებელზე გაივლიდა, თუმცა ეს მაინც ძალიან მძიმე სანახავი იყო. ხალხს, რომელიც „რუსული ფაშიზმის“ წინააღმდეგ გამოვიდა, მსვლელობის დროს, ერთი სიტყვაც არ უთქვამს არანაირ ფაშიზმზე, ძირითადი თემა „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის გინება იყო. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილს ეს ნამდვილად არ დაუმსახურებია, დანარჩენებმა ალბათ დავიმსახურეთ, მაგრამ მან არა..

**ნელი თორდია**
5711 35 36 88

# ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია პოლიციის დისკრედიტაციად არ უნდა იქცეს!



## დარწმუნებული ვარ, რომ გირაოთი გათავისუფლებულები გირაოს ფულს არ იხდიან...

**„საქართველოში 200.000-ზე მეტი ნარკომომხმარებელია ოფიციალურად რეგისტრირებული, ამ დროს პოლიციამ თუ ვინმე დააკავა, უფლებადამცველები, პოლიტიკოსები და ა.შ. ერთხმად გაჰყვირიან, პოლიციამ ჩაუდო ნარკოტიკიო. ამ ლოგიკით ისე გამოდის, რომ საერთოდ არ გვყოლია ნარკომომხმარებლები, რაც რბილად რომ ვთქვათ, სრული აბსურდია“, აცხადებს პროფესიონალი სამართალდამცავი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე.**

სიმართლე გითხრათ, მეც ვეთანხმები იმ აზრს, რომ ნარკომომხმარებელი ციხეში არ უნდა გაუშვა, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკი თუ არ ექნება თან. ციხეში არა, მაგრამ ეს ხალხი აუცილებლად უნდა გაუშვან იძულებით მკურნალობაზე, როგორ შეიძლება მათი საზოგადოებაში დატოვება, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მომავალ თაობასაც გააფუჭებს, ვინც მას უყურებს. წელან კერძო საუბარში მკითხეთ, ნარკომომხმარებლები გირაოს უზარმაზარ თანხებს რა საშუალებით იხდიანო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ თანხებს არც არავინ იხდის, პრესა-ტელევიზიით კი ამბობენ გადაიხადესო, მაგრამ ვინმემ წარმოადგინა ამის მტკიცებულება? ადამიანი ყველაზე იაფ ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარს და 15.000-ლარიან (თუ მეტს არა) გირაოს იხდის? დაფიქრდით, დღეს რომელი ოჯახი გადაიხდის უპრობლემოდ ამ თანხებს, ძალიან ბევრი მშობელი იტყვის, თავში ქვა უხლიაო. ვინმეს თუ ამხელა ფული აქვს, „კრაკადილსა“ და რაღაცა საშინელებას კი არა, მაღალი ხარისხის ნარკოტიკს მიიღებს და მერე სულ აღარ გამოვა სახლიდან. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებს, გირაოს თანხას არ იხდიან. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა იმითაც „გაითქვა“ სახელი, რომ მისი საახლობლო ხშირად ყვება ამ „გაუგებრობაში“. ძალიან მეეჭვება, რომ ამ წრეს ფულს ახდევინებენ. ვინმემ წაიკითხა რა წერია სასამართლოს გამოტანილ ვერდიქტში? ნაციონალების მმართველობისას ხალხს ფულს რომ „აწერდნენ“, მაშინ კითხულობდა სასამართლო სად მიდიოდა ეს ფული, ვინმეს გაუკონტროლებია? სასამართლო რომ ბრძანებდა, მავანს ოთხი მილიონი აქვს გადასახდელიო, იმ ფულიდან ნახევარი მილიონი თუ შედიოდა ბიუჯეტში, მაგრამ დანარჩენი სად ნაწილდებოდა საზოგადოებამ არაფერი იცის. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ თანხის უდიდესი ნაწილი სულ სხვა ანგარიშებზე მიდიოდა, მაგრამ მომკითხავი არავინ იყო. ახლა კი, რომელ ანგარიშებზეა საუბარი, როცა საერთოდ არ შედის გირაოს თანხა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნარკოტიკს ეხება საქმე. ერთიც იცოდეთ, გირაოთი გამოშვებულს ციხეში აღარ შეაბრუნებენ, 100-დან 99 შემთხვევაში ასე ხდება და არა იმიტომ, რომ გამამრთლებელი განაჩენი დგება, ან განხილვის პროცესს გააჭიანურებენ უსასრულოდ, ან ამნისტია შეეხება და ა.შ. გამართლების შემთხვევაში, გირაოს თანხა უკან ბრუნდება, რაღაც არ მახსოვს, ვინმესთვის გირაოს თანხა უკან დაებრუნებინოთ, ე.ი. არ დგება გამამართლებელი განაჩენი.

**— აბა, რაში ჭირდებათ იმის თქმა, გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდაო?**

— საზოგადოებას რომ დაანახონ, თითქოს გირაოს გადახდის გამო არ წავიდა კონკრეტული პირი ციხეში. თუ ამხელა თანხებს მართლაც ახდევინებენ, მისი ნაწილი მაინც შეკრიბონ და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება გახსნან, სადაც ნარკოდამოკიდებულებს უმკურნალებენ. კომუნისტების მმართველობისას ასეთი დაწესებულება საგარეჯოში იყო, სადაც იძულებით მკურნალობას გადიოდნენ ნარკომანები. ახლა ისე გამოდის, რომ მხოლოდ ნარკომანის ინტერესებს ითვალისწინებენ, მოსახლეობის ინტერესი არავის ანაღვლებს, რომელიც ამ შემთხვევაში დაზარალებულია. გასაგებია, რომ ნარკოდამოკიდებული ავადმყოფია, თუ არ უმკურნალე, იგივეს გაიმეორებს, საიდან უნდა მოიტანოს ნარკოტიკის ან ჯარიმის თანხა? ე.ი. ვიღაც უნდა გაქურდოს ან დააყაჩაღოს, ისინი პირველ რიგში საკუთარ ოჯახებს აზარალებენ და ანადგურებენ, თუკი რამე ფასეული გააჩნიათ, „წამალში“ ცვლიან. რამდენჯერ დაიწერა პრესაში, რომ ნარკოდამოკიდებულები, გირაოში საკუთარ ცოლებს უტოვებდნენ „ნარკობარიგებს“. ნარკოპოლიტიკის შემსუბუქების ინიციატორთ ვეკითხები, და უმკურნალოს ნარკოდამოკიდებულებს, კაცი იაფფასიანი საწამლავით გამოლენჩებული რომ დადის და პურის საყიდელი ფული არ აქვს, როგორ მოსთხოვ თავისი ხარჯით იმკურნალოს. ნარკოლოგები ამბობენ, რომ ეს სენი ბოლომდე არ ინკურნება, თავად ნარკომომხმარებლებმაც უნდა გამოიჩინონ ნებისყოფა. აქ უდიდესი როლი ეკისრება ეკლესიას, 90-იან წლებში ბევრი ასეთი ადამიანი ჰყავდა ეკლესიას შეფარებული, განსაკუთრებით შავნაბადის წმინდა გიორგის მონასტერს და



არ უნდა დაფიქრდეთ რას აკეთებთ? კომუნისტების პერიოდში თუ 5 გრამი „მარიხუანას“ ქონა არ ისჯებოდა სს-ის პასუხისმგებლობით, ახლა ამ რაოდენობის 13,5 გრამამდე გაზრდა უნდათ, ამის დაშვება როგორ შეიძლება. მურუსიძე სალანძღავ სიტყვად რომ აქციეს, თვითონ რატომ იქცნენ კოლექტიურ მურუსიძედ, როგორც პოლიცია-პროკურატურა-სასამართლო, ისე უფლებადამცველ-პოლიტიკოსები და „ელიტარული“ საზოგადოება. თუ მაინც უნდა გაათავისუფლონ ნარკომომხმარებლები, მაშინ რაღას იჭერენ? რაღაში ვუხდით პოლიციას ფულს, საერთოდ გააუქმონ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურები, დღეს ყველაზე დიდი, მასიური დანაშაული ნარკომანიაა, თუ მის აღსაკვეთად არაფერი უნდა გაკეთდეს, ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზაციას ითხოვ, რაში გვჭირდება ამხელა შტატები, რომელთა შენახვას უზარმაზარი ხარჯები ჭირდება. საპატრულო პოლიციის და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის გარდა, თითქმის არავინ არაფერს აკეთებს და ამათაც ხელს უშლი მუშაობაში, დამნაშავე თუ არ დააკავეს, აბა, რა ქნან, ოპერატიული მანქანებით მარტო ისეირნონ? თუ სახელმწიფოს გული შესტკივა თავის ხალხზე, აუცილებლად თვითონ უნდა ეს ხალხი ნორმალურ, ჯანსაღ ცხოვრებას დაუბრუნდა. ამ ე.წ. უფლებადამცველებმა და პოლიტიკოსებმა, ვითომ ძალიან რომ შესტკივათ გული ნარკომანებზე, ჩაიხედონ უფლებადაცვით კანონმდებლობებში, იქ პირველ პუნქტად წერია, რომ ყველა სახელმწიფო ვალდებულია ადამიანის უფლებები დაიცვას, რაც პირველ რიგში იმას გულისხმობს, მას ისეთი პირობები შეუქმნას, რომ იმუშაოს და ოჯახი არჩინოს. ამ „გულშემატკივრებმა“ ნარკოტიკის ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზაცია კი არ მოსთხოვონ ხელისუფლებას, ამ პირობების შექმნაზე ერთობლივად იზრუნონ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ აწყობთ კიდეც, რომ ქვეყანაში ბევრი ნარკომანი იყოს, რადგან ეს უკანასკნელნი ცხოვრებას „ვარდისფერი“ სათვალით უყურებენ, პრეტენზია არაფერზე აქვს, მთავარია, „წამალი“ ჰქონდეს. გაიხსენეთ, როგორ ურიგებდნენ ნარკომანებს „წამალს“ შევარდნაძის მმართველობისას ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები, ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგაც იგივე გააგრძელეს, ამ გაუბედურებულ ხალხს ყოველთვის სათავისოდ იყენებდნენ. ახლა მარტო მათ კი არა, სხვებსაც უნდათ „მარიხუანას“ ლეგალიზება მოხდეს, რომ მთელი ერი „შეჯდეს“ ამ ნარკოტიკზე და სხვა არაფერზე გაამახვილოს ყურადღება. კარგად აპრობირებული მეთოდია, რომ ნარკომანს ვინც „წამალს“ მისცემს, მის მხარეს იქნება. აი ეს არის მათი „კეთილშობილური“ მოთხოვნების მთელი „ფილოსოფია“. პარალელურ რეჟიმში კი გამალებით ეწევიან პოლიციის დისკრედიტაციას, რომ მათ წინააღმდეგობა არ გაუწიონ. სასამართლო ისევ ამ ფსევდოლიბერალების გავლენის ქვეშაა, პოლიციელიც იმიტომ ვერ გამოთქვამს პრეტენზიას, რატომ გაათავისუფლეთ ჩემს მიერ ნარკოტიკის უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის დაკავებული პირიო, რომ ეს სასამართლო იქით დაიჭერს ამ პოლიციელს.



**ბატონო დავით, ერთი მუჭა ფსევდოლიბერალები რატომ უნდა წყვეტდნენ, თუნდაც როგორი ნარკოპოლიტიკა უნდა ჰქონდეს ქვეყანას? ჩატარდეს რეფერენდუმი და მოსახლეობამ გადაწყვიტოს რა სახელმწიფო პოლიტიკა უნდა გვქონდეს.**

უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ ამ ლიბერალებს აწყობთ, მნიშვნელობა არ აქვს ისინი ხელისუფლებაში არიან, ოპოზიციაში თუ სამოქალაქო სექტორში, აფხაზეთი და სამაჩაბლო არ იყოს საქართველოს კონტროლქვეშ თუნდაც იმიტომ, რომ რეფერენდუმს ვერ ჩავატარებთ. მოგეხსენებათ, რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს, გამონაკლისების გარდა, მთელს მსოფლიოში მთლიანი ტერიტორიის საზღვრებშია იგი აღიარებული. ასე რომ, თავის გასამართლებელი მიზეზი იურიდიულად აქვთ, რატომ ვერ ჩატარდება რეფერენდუმი. პრეზიდენტის ადმინისტრაციამაც ეს არ მოიდო მიზეზად, როცა ერთსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებაზე უარი თქვა მარგველაშვილმა. რადგან რეფერენდუმის ჩატარების საშუალება მოგვესპო, ფსევდოლიბერალებს ხელ-ფეხი გახსნილი აქვთ, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ, გამოყავთ ხალხი, ზოგს ფულს ურიგებენ, ზოგს თითო „მასტირკა“ ნარკოტიკს და რასაც უნდათ იმას ათქმევინებენ, მათ შორის, ნარკოპოლიტიკა აუცილებლად უნდა შემსუბუქდესო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 77

# ბიჭიკო ასკურავა – მკურნალი, მზის შვილი, გურული...

კოლხთა მეფე აიეტის წარმომავლობის შესახებ ისტორია ბუნდოვანია, მაგრამ ლეგენდებისა და მითების ნაზავი გვამცნობს, რომ აიეტი მზის შვილი იყო.

თუ ასეა, მისი შვილები, ძველი იბერიელი-კოლხებიც მზის შთამომავლებად ითვლებიან.

მაგალითად, ბატონი **ბათუ ასკურავა** მიიჩნევს, რომ, როგორც ერთმა მკვლევარმა უთხრა, ასკურავები მზის შვილთა შთამომავლები ყოფილან, სქუა – მეგრულად, ანუ ძველკოლხურად შვილს ნიშნავს, რა – მზის ღმერთის სახელი იყო უძველეს ეგვიპტეში, გადმოცემის თანახმად, ასკურავები ეგვიპტეში ფარაონების ქურუმები იყვნენო, მიმტკიცებს ლეგენდის თუ გადმოცემის უტყუარობას ბატონი ბათუ.



ჯერჯერობით არავინ უწყის ამ გვარის წარმომავლობის შესახებ ამბავი ლეგენდაა თუ სინამდვილე, მაგრამ ის ნამდვილად არ არის ლეგენდა, რომ მსოფლიოში აღიარებული, სახელგანთქმული სახალხო მკურნალი, ბატონი **ბიჭიკო ასკურავა** ყოველგვარი ქირურგიული ოპერაციების გარეშე არჩენს მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პერტესს, „პოდაგრას“ და ძვლების სხვა რთულ დაავადებებს, ისეთებს, რომელთან ბრძოლაშიც მსოფლიო კლასიკური მედიცინა, პრაქტიკულად, უძლურია.

„კლასიკურ მედიცინას დიდი მიღწევები აქვს, – ამბობს ბატონი **ბიჭიკო ასკურავა** და დასძენს, მართლაც წინ წავიდა სამედიცინო მეცნიერება, უმაღლეს დონეზე დგას დღეს, მაგრამ საქმეს აფუჭებენ უცოდინარი სპეციალისტები და ძალად დაბრალებული ექიმები.

ცოტა ხნის წინ ორი წლის ბავშვს ლავიწის ძვალი ჰქონდა დაზიანებული, ნარკოზი გაუკეთეს და ოპერაცია ჩაუტარეს. ბავშვი გარდაიცვალა, მისმა გულმა ნარკოზს ვერ გაუძლო. ეს უცოდინარობის შედეგია. 2 წლის ბავშვის ძვლები ელასტიურია და ყოველდღიურად მზარდი, მისთვის ძვლები რომ გადაეჭიმათ და ისე გადაეხვიათ, ბავშვი გადარჩებოდა“.

პერტესის დაავადება, რომელსაც წარმატებით მკურნალობს ბატონი ბიჭიკო, მსოფლიო მედიცინაში ერთ-ერთი ურთულესი სიმსივნური დაავადება გახლავთ, რომელიც, ჯერჯერობით, განუკურნებელ დაავადებათა ნუსხაშია.

რასაც ბატონი ბიჭიკო ასკურავა აკეთებს, ეს არის სენსაცია.

დღეს ბატონ ბიჭიკოსთან უკვე თამამად მოდიან ცნობილი და გამოცდილი მედიკოსები, ტრავმატოლოგები, აზრებს უზიარებენ, და რჩევას ეკითხებიან.

**ბიჭიკო ასკურავა:** კარგ ექიმად ის ითვლება, 100 ავადმყოფში 30 თუ მაინც მოარჩინა, დანარჩენს კი მდგომარეობა არ გაურთულა.

ფულის გულისთვის არასდროს დამიწყია ავადმყოფის მკურნალობა, თუ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მას მოვარჩენდი. ეს რომ ვუთხარი რამდენიმე ექიმს, დამცინეს – ჩვენი ბიზნესი ეს არისო. მაგრამ პრობლემა დღეს სხვაგვარად დგას. მიწვევენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მაგრამ საქართველოში პაციენტები თითქმის არ მყავს. საკვების ფული არ აქვს ჩვენთან ხალხს და სახელმწიფო დაზღვევის თანხით თუ უმკურნალებს, ურჩევნია, ჯანმრთელობა ალალბედზე შეაგდოს, ვიდრე ჩემთან მოვიდეს და უტყუარ განკურნებას დაელოდოს.

**ბათუ ასკურავა:** მოგეხსენებათ, ბატონი ბიჭიკო ცნობილი ველომრბოლელი იყო. ახლა მისი შვილიშვილი **დავით ასკურავა** გახლავთ მსოფლიოს ელიტარულ ველომრბოლელთა შორის საპატიო ადგილზე. დავითი ბატონი ბიჭიკოს გარდაცვლილი ვაჟის ირაკლის შვილია. ის ეხმარება ბაბუას წამლის დამზადებაში და ითვლება ბიჭიკო ასკურავას საქმიანობის მემკვიდრედ.

მსოფლიოს კლინიკების ხელმძღვანელები ეხვეწებოდნენ ბატონ ბიჭიკოს მათთან გადასულიყო სამუშაოდ, მაგრამ ის საქართველოს არასდროს მოშორებია, უმძიმეს წლებშიც კი.

ბიჭიკო ასკურავას სამედიცინო განათლება ისრაელის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში აქვს მიღებული, თუმცა მამა-პაპის მიერ გადმოცემულ ცოდნისა და მკურნალობის მეთოდებს თავის პრაქტიკაში მაინც უფრო ეფექტურად მიიჩნევს.

როგორც მითხრა, უამრავი ცნობილი და არაცნობილი ადამიანი ჰყავს განკურნებული. აწ გარდაცვლილ ბატონ ქართლოს კასრაძეს, მისთვის ჩვეული ენამოსწრებულობით, შესანიშნავი ლექსი მიუძღვნია ბატონი ბიჭიკოსთვის და იმის გამო, რომ დასტაქარი უიმედო პაციენტებს უმცირეს დროში კურნავდა, ქართლოს კასრაძეს საქართველოს „განკურნებაც“ უთხოვია ბატონი ბიჭიკოსთვის:

„ჯადოქარო დასტაქარო,  
ყველას სანატრელო,  
იქნება გაამთლიანო  
ჩვენი საქართველო“.


ბიჭიკო ასკურავა

გადმოცემის მიხედვით, კოლხეთში არსებობდა ჰეკატეს ბაღი, სადაც მედიცინის დამფუძნებელი, აიეტის ასული მედეა სამკურნალო მცენარეებს აგროვებდა.

ასკურავების მართლაც უნიკალური მალამო, ადვილი შესაძლებელია, სწორედ მედეას მკურნალობის პირდაპირი მეთოდი იყოს, მით უფრო, რომ ასკურავები ძველი კოლხების შთამომავლები და მკვიდრნი არიან. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანში დაბადებული, ახლა უკვე საქვეყნოდ აღიარებული მკურნალი, ბატონი ბიჭიკო ასკურავა ძვალ-სახსროვანი დაავადებების მკურნალობაში სასწაულებს ახდენს-მეთქი, რომ ვთქვა, ბევრი დამეთანხმება და ამ შეფასებაში ნამდვილად არ ვიქნები გადაჭარბებული.

**ირანდა კალანდაძე**  
593 56 11 18


დავით ასკურავა





# ძლიერი რეგიონები




### დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

**გაწმენდითი სამუშაოები ელიაზე** – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილზე გაეცნო წინასწარმეტყველ ელია თეზბიტელის ტაძრის გარშემო გაწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობას. ელიაობის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის ყველა მომლოცველს შეეძლება ტაძართან უსაფრთხოდ მისვლა.

**მობილური სატუმბი სისტემა სოფელ ფიროსმანში** – გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სოფელ ფიროსმანში მობილური სატუმბი სისტემის მუშაობა ადგილზე შეამოწმა. სარწყავი სისტემის წყალსატუმბი სადგურის ამოქმედებამდე, სოფელში მცირე ზომის პორტატული ტუმბოებით ხდება მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება ვენახების მოსარწყავად.

„უკვე ორი წელია მელიორაციიის დეპარტამენტის ხელშეწყობით მობილური ტუმბოების მეშვეობით ირწყვება ვენახები სოფლებში – ფიროსმანსა და სამთაწყაროში. ეს პროექტი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ახალი სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრებამდე სწორედ ეს ტუმბოები უზრუნველყოფს ვენახების გადარჩენასა და მოსავლიანობს გაზრდას.

რაც შეეხება წყალსატუმბი სადგურის მშენებლობას სოფელ ფიროსმანში, პროექტი უკვე დამამთავრებელ ეტაპზეა. აშენებულია შენობა, მიყვანილია ელექტროგადამცემი ხაზი და დადგმულია ქვესადგური. უკვე ჩაფენილია მილი, რომელიც სოფლის სარწყავ არხამდე მივა. ეს პროექტი ორი წლის წინ დაიწყო და მას სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის დეპარტამენტი ახორციელებს. მას სოფელ ფიროსმანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თითქმის ათი წელია, სარწყავი სისტემა აღარ მუშაობს, რის გამოც ადგილობრივებს ვენახები ლამისაა გაუხმეთ. სარწყავი სისტემის აღდგენით სოფელს დაუბრუნდება სიცოცხლე და კიდევ უფრო დიდი სტიმული მიეცემა ფიროსმანში მევენახეობის განვითარებას",– განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

### ყვარელი – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი მდინარე დურუჯზე

მდინარე დურუჯზე გადაუდებელი ნაპირსამაგრი ნაგებობისა და არსებული ნაპირდამცავი კედლის აღდგენითი სამუშაოები ორ ეტაპად მიმდინარეობს. პროექტს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აფინანსებენ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მზექალაშვილი სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო და მშენებლებს გაესაუბრა.

როგორც ცნობილია, მდინარე დურუჯი ღვარცოფული ხასიათის მდინარეა. კატასტროფების თავიდან აცილების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საქართველოს მთავრობისთვის




მდინარის კალაპოტის გაწმენდა მუდმივ პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა ამჯერად სამუშაოები ბევრად უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანია.

შეგახსენებთ, რომ დურუჯმა ყვარელი პირველად 1832 წელს დაანგრია. მომდევნო ტრაგედია 1904 წელს დატრიალდა. მდინარემ ქალაქი წალეკა. 1906 წელს, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, დამცავი დამბები აშენდა, რაც ქალაქს 1949 წლამდე იცავდა. 1949 წელს მოვარდნილმა დურუჯმა მთელი საბჭოთა კავშირი შეძრა: ღვარცოფი თავს დაატყდა ე.წ. „კაზარმას", რომელშიც ბერლინის აღებაში მონაწილე სამხედრო საავიაციო ნაწილი იყო განლაგებული. სულ რამდენიმე წუთში სტიქიამ 54 პილოტის სიცოცხლე იმსხვერპლა.

### დუშეთი – ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზაზე საავტომობილო მიმოსვლა აღდგენილია

ივლისის პირველ დეკადაში მოსული ძლიერი წვიმის შედეგად, მდინარე არღუნმა ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 75-ე – მე-100 კილომეტრზე მონაკვეთი იმდენად დააზიანა, რომ მასზე მოძრაობა ჩაიკეტა. კლიმატური პირობების გაუმჯობესებისთანავე მძიმე ტექნიკის მეშვეობით დაიწყო გაწმენდითი სამუშაოები.

დღესდღეობით, გზის ეს მონაკვეთი სრულადაა გაწმენდილი. ნაპირსამაგრი სამუშაოების – რკინა-ბეტონის კედლების აღდგენა-გამაგრებისძირითადი ნაწილი დასრულებულია.

### აბაშა – გზის სამუშაოები გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში

აბაშის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობას. სამუშაოებს ახორციელებს სს „არქეოპოლისი", პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 3 134 777 ლარს.

პროექტი მოიცავს სამ ეტაპს. პირველი ეტაპით გათვალისწინებულია გეზათის, ქოლობნის, ნორიოსა და ზანათის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზებზე ასფალტბეტონის დაგება. სამუშაოები უკვე დაიწყო გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც ცენტრიდან სკოლის მიმართულებით 5 კმ-იან გზის მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარი იგება.

### მარტვილში იუსტიციის სახლი აშენდება

სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის ერთ სივრცეში მიღებას მარტვილის მოსახლეობაც შეძლებს. მალე ქალაქში იუსტიციის სახლის მშენებლობა დაიწყება.

მარტვილის იუსტიციის სახლი საქართველოში აშენებული მე-20 იუსტიციის სახლია, რომელიც მომხმარებელს მაღალი ხარისხის სწრაფ და კომფორტულ მომსახურებას შესთავაზებს. სერვისების მიღება აქაც მინიმალურ დროსა და კომფორტულ გარემოში იქნება შესაძლებელი.

### სენაკის თეატრის რესტავრაციის მორიგი ეტაპი

აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას სისტემატურად ეცნობა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე შესაბამისი სამსახურებისა და საამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – სენაკის თეატრის რეკონსტრუქცია საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" მხარდაჭერით მიმდინარეობს. ისტორიული შენობის რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა პირველადი აღდგენითი სამუშაოები, გამოიცვალა შენობის სახურავი, მოეწყო თბოიზოლაციისა და სადრენაჟე სისტემები. დასრულებულია გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი, სრულად განახლებულია ელექტროგაყვანილობა. დასრულდა ფუნდამენტისა და კედლების გამაგრებითი სამუშაოები.

### ჩხოროწყუ – სოფელ კირცხში საბავშვო ბაღი შენდება

მუნიციპალიტეტის გამგებელმა დათო გოგუამ სოფელ კირცხში მშენებარე საბავშვო ბაღი დაათვალიერა. მშენებლობისთვის 239 998 ლარია გამოყოფილი. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან – 215 710, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 24 288 ლარით ფინანსდება.

2013 წლიდან დღემდე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სულ 5 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა. ამჟამად მიმდინარეობს კიდევ ორის მშენებლობა.

### წალენჯიხა – ენგურჰესი მსოფლიო დონის ატრაქცია გახდება

საქართველოს შეემატება ძალიან მასშტაბური და მრავალფუნქციური ტურისტული ზონა – „ენგურჰესის" ტურისტული ცენტრი, რომელიც მსოფლიო დონის ატრაქცია გახდება.

ტურისტული ინფრასტრუქტურა 157 ჰექტარზე იქნება გაშლილი, მოეწყობა შემეცნებითი და აღმოჩენათა ცენტრი, სამუზეუმო-საინფორმაციო სივრცე, საბაგირო გზა, ღია საკონცერტო სივრცე, სანაოსნო ინფრასტრუქტურა, იქნება მსოფლიოში ყველაზე მაღალი – 280-მეტრიანი ლიფტი, მდინარე ენგურზე გადასახედები, ასევე კომპონენტები ექსტრემის მოყვარულებისთვის.

ენგურჰესის ტურისტული ზონის მოწყობის პროცესში მუდმივად დასაქმდება 200-მდე ადამიანი, პრიორიტეტი ადგილობრივ მოსახლეებს მიენიჭებათ, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ კიდევ 100-მდე ადამიანი დასაქმდება.

### ბორჯომი – წაღვერში, ცემსა და ჭობისხევში გზები იგება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერში, აგრეთვე სოფლებში ცემსა და ჭობისხევში გზების რეაბილიტაცია დაიწყო.

დაბა წაღვერში ასფალტის საფარი ფიროსმანისა და თამარ მეფის ქუჩებზე დაიგება, არმირებული ბეტონი კი – სოფლებში ჭობისხევსა და ცემში მოეწყობა. საბოლოოდ 2 კილომეტრზე მეტი სიგრძის მონაკვეთი მოწესრიგდება.

### ფოთში „ფაზისობის" დღესასწაული იზეიმეს

ქალაქ ფოთში სახალხო დღესასწაული „ფაზისობა" აღინიშნა, რომლის ფარგლებში სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიება გაიმართა.

„ფაზისობა 2017" საგანმანათ-

# ძლიერი საქართველოსთვის




ლებლო კონფერენციას, გამოფენებს, ფლეშმობებს, კონცერტებს მოიცავდა. დღესასწაული დასრულდა გალა-კონცერტით, რომელიც ცენტრალურ პარკში გაიმართა.

### საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა

ბორჯომში ორ საბავშვო ბაღში ეზოების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, N3 სააღმზრდელო დაწესებულებების წინა ეზოში დაგეგმილია სკვერის მოწყობა. ამ ტერიტორიაზე ბეტონის კედლის მშენებლობა უკვე დასრულებულია. ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს გრუნტის შეტანა და ეზოში მისი განაწილება.

სკვერში დაიგება ბაზალტისა და კაუჩუკის ფილები, დამონტაჟდება ლამპიონები, ატრაქციონები, ხის მინისახლები, ასევე ხელოვნური ხალიჩა მინისტადიონისთვის, განლაგდება სკამები, ნაგვის ურნები. დაგეგმილია შენობის უკანა ეზოს კეთილმოწყობაც. შეიღებება შენობის ფასადიც.

სკვერის მოწყობაა დაგეგმილი N4 საბავშვო ბაღშიც. ობიექტზე გათვალისწინებულია ქვაფენილისა და ხელოვნური ბალახის საფარის დაგება, მინისტადიონის, ღობეების, ატრაქციონების, სკამებისა და ლამპიონების მოწყობის სამუშაოები.

### ბოლნისის მუნიციპალიტეტში

• დაბა კაზრეთში კომპანია,, არემჯის" მიმართულებით საავტომობილო გზის საფარი წესრიგდება. 1100 მეტრის გზის მონაკვეთზე დაიგება 22 სმ-ის სისქის ბეტონის საფარი, მოეწყობა ტროტუარები და სანიაღვრეები.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 700 000 ლარია.

„ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი დაბის მცხოვრებლებისთვის. ამორტიზებული გზის გამო ჰაერის დაბინძურების პრობლემა წლების განმავლობაში აწუხებდათ ადგილობრივებს. გარდა ამისა, წელსვე იგეგმება კაზრეთიდან სოფელ ბალიჭთან დამაკავშირებელ გზაზე გარე განათების ქსელის მონტაჟი, რომელიც აღიჭურვება ენერგოეფექტიანი ლედნათებებით. ამით სოფლის მოსახლეობის თხოვნასაც დავაკმაყოფილებთ. ამას გარდა, დაბა კაზრეთში არსებული 68 ლიფტის შახტიდან წელს 30-მდე კორპუსში არსებული ლიფტის შახტების რეაბილიტაციაც იგეგმება",– აცხადებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით შერაზადიშვილი.

• დაბა კაზრეთში 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

კაზრეთში გადაიხურა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსიც.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების მიმდინარეობას რეგულარულად ეცნობიან ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით შერაზადიშვილი და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი მეშველიანი.

### თეთრიწყარო – შეხვედრები მოსახლეობის მოთხოვნების გასაცნობად

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ერეკლე კუხიანიძე მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს. ერეკლე კუხიანიძე ქალაქ თეთრიწყაროში ე.წ. ვარხუნოს დასახლების მცხოვრებლებს შეხვდა, პირადად მოისმინა მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემებისა თუ საჭიროებების შესახებ და ადგილზე გაეცნო ამ დასახლებაში შიდა გზებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ერეკლე კუხიანიძე კიდევ ერთხელ შეხვდა სოფელ პატარა თონეთის მოსახლეობას და მასთან ერთად იმსჯელა პრობლემების მოგვარების გზებზე. დაათვალიერა აღნიშნულ დასახლებაში მისასვლელი და შიდა საუბნო გზების მოხრეშვითი სამუშაოები, რის შესრულებასაც წინა შეხვედრაზე დაჰპირდა ადგილობრივებს. ამასთანავე, მოსახლეობასთან ერთად იმსჯელა წყალმომარაგების გასაუმჯობესებელ სამუშაოებზე, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება სოფლის ის ნაწილი, რომელსაც დღემდე არ მიეწოდება სასმელი წყალი.

### ინფოტური წყალტუბოში

უნიკალური კურორტის წყალტუბოს პოპულარიზაციის, ტურისტული პოტენციალის წარმოჩენისა და სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივების გაცნობის მიზნით დღეს წყალტუბოში საერთაშორისო ინფო ტური გაიმართა, რომელსაც რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან 10 წამყვანი ტურისტული კომპანიის 12 წარმომადგენელი ესწრებოდა. ვიზიტორები წყალტუბოში ხუთი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ, დაათვალიერეს ყველა ტურისტული ობიექტი, ბალნეოპარკი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრი „Be Healthy", №1,2,3 6 აბაზანები, სასტუმროები, ჩაიტარეს სხვადასხვა სამკურნალო პროცედურები, შთაბეჭდილებების გაზიარებისა და მომავალი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით სასტუმრო „წყალტუბო პლაზაში" სს ,,ბალნეოსერვისის" ორგანიზებით, განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების თს ფონდის, სამედიცინო ტურიზმის საერთაშორისო კომპანია GMT-ისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით შემაჯამებელი შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტატინე მამისეიშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ჯემალ ფანცხავა, თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებმა განიხილეს წყალტუბოში ტურისტებისა და ახალი ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები, ისაუბრეს უშუალოდ ტურისტის თვალით დანახულ რეალობაზე და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების აუცილებლობაზე.




## რეპლიკა



**ყველამ საკუთარი თვალით ვნახეთ, როგორ იწვოდა ელიავას ბაზრობა. ეს ხანძარი თითქმის განმეორება იყო ბავშვთა სამყაროს ხანძრისა. ჰოი, საოცრებავ, თითქოს განგებ, ორივე ფაქტი დიდუბის ტერიტორიაზე მოხდა.**

**მომხდარმა ხანძარმა მარტო თბილისი და დიდუბის რაიონი კი არა, მთელი საქართველო შეძრა, დიდუბის რაიონნს კი უდიდეს ეკონომიურ ზარალად დაატყდა თავს.**

**ჩასაფრებული ნაცები თავიანთი ამფსონებით უმალ გაჩნდნენ ხანძრის ეპიცენტრში და იქ მისულ რაიონის ხელმძღვანელობას თანაგრძნობისა და თანადგომის ნაცვლად, თავს დაესხნენ. რაიონის გამგებელი ქალბატონი ირმა ზავრადაშვილი ზაალ უდუმაშვილმა, თავისი ცრუ ბრალდებებით, უყურადღებობასა და გულგრილობაში დაადანაშაულა. უდუმაშვილი ის კაცია, რომელმაც მთელი ცხოვრება გულგრილად უყურა ხალხის უბედურებას და თავისი ქვეყნისთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებია. იჯდა სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიაში, სააკაშვილის ლაქია იყო და სხვის დაწერილ ტექსტებს კითხულობდა. ამ კაცს ახლაც სააკაშვილის წყალობით სურს დედაქალაქის მერად მოსვლა. ისეთი აგრესიული და ირონიული ტონით მიმართავდა ქალბატონ ირმას, რომელიც მთელ რაიონზე ზრუნავს და რაიონის მთელი მოსახლეობა პატივს სცემს, თითქოს მისი გაჩენილი იყო ხანძარი. ვუყურებდი ამ ყველაფერს და ისეთი გრძნობა დამეუფლა, სილა გამეწნა ამ თავხედისთვის. ნუთუ ასეთი აგრესიით აპირებს მოსვლას ქალაქის მერად?! შორს ჩვენგან ნაცებო, გეყოთ, რაც სისხლი გვწოვეთ ამდენი ხნის მანძილზე. რაც ქვეყანაში ცუდი ხდება, ყველაფრის სათავე თქვენა ხართ, ჯერ აფუჭებთ, მერე სხვას აბრალებთ. ეს ხომ თქვენი ხელწერაა. აღარავის სჯერა თქვენი ცრუ ბრალდებების.**

**რაც შეეხება ქალბატონ ირმა ზავრადაშვილს, ნეტავ, ასეთი საქმიანი, გულისხმიერი და კეთილშობილი ქალბატონი ბევრი ჰყავდეს საქართველოს...**

მზია უზუნაშვილი
555 46 82 00

# დადჯალი



დონალდ ტრამპმა და საუდის არაბეთის მეფემ ექსტრემისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ გლობალურ ცენტრი გახსნეს. დონალდ ტრამპმა, საუდის არაბეთში ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოაწერა შეთანხმებას რომლის თანახმადაც აშშ ერ-რიადს 109,7 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღს მიაწოდებს და ათი წლის განმავლობაში, შესაძლოა შეთანხმება 350 -მილიარდ დოლარამდე გაიზარდოს. "ეს აშშ-ს ისტორიაში იარაღის უმსხვილესი გარიგება გახლდათ. „ძალიან კარგი ინფორმაციაა ამერიკული კომპანიებისა და ამერიკელი მშრომელებისათვის," განაცხადა აღნიშნულთან დაკავშირებით, თეთრი სახლის პრესსპიკერმა შონ სპაისერმა.

ამ, ოფიციალურ შეხვედრას მოკლე დროში მოყვა ყატარის კრიზისი რომელიც ხუთ ივნისს დაიწყო, ექსმა არაბულმა ქვეყანამ (საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი, ეგვიპტე, იემენი, ლიბია), მალდივის, მავრიკისა და მავრიტანიის რესპუბლიკამ, ტერორიზმის დაფინანსებისა და რეგიონში დესტაბილიზაციის მხარდამჭერის ბრალდებით, ყატართან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა...

22 მაისს საუდის არაბეთის საელჩომ ტვიტერში მეტად საინტერესო ფოტო განათავსა აშშ-ს პრეზიდენტი ტრამპი, საუდის არაბეთის მეფის სალმან ბენ აბდელ აზიზა ალ საუდ სალმანისა და ეგვიპტის პრეზიდენტის აბდელ-ფატაჰ ელსისის სურათი, რომლებსაც ხელი დადებული აქვთ მოზრდილი ზომის მანათობელ ბურთზე. მოგვიანებით საელჩომ განმარტა, რომ ფოტოზე ასახულია ერ-რიადში ექსტრემისტულ იდეოლოგიასთან ბრძოლის გლობალური ცენტრის გახსნა. ცენტრის გული- გიგანტური კედელია, რომელიც გადატენილია ეკრანებით, რომლებიც რეალური დროის რეჟიმში, ონლაინში აჩვენებს ექსტრემისტთა საქმიანობას. ტრამპმა და მეფემ ხელი დაადეს მინიატურულ გლობუსს, რითაც ბიძგი მისცეს მთელი ცენტრის აქტივაციას. ეზოთერიკისგან შორს მდგომმა ადამიანებმაც კი დაინახეს ამ აშკარად ოკულტურ ღონისძიებაში რაღაც უცნაური და ავისმომასწავებელი. კონსპიროლოგებმა საუდის არაბეთში ტრამპის ვიზიტის უფრო სხვა, არანაკლებ იდუმალ მოვლენაზე გაამახვილეს ყურადღება. ოფიციალური სიტყვის წარმოთქმის დროს, აშს-ს პრეზიდენტმა ათჯერ გამოიყენა სიტყვა „მშვიდობა" და თერთმეტჯერ სიტყვა „უსაფრთხოება" რაც ნუმეროლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ სიმბოლურია. ვინც ამ გამოსვლას მოუსმინა იოლად გაავლებდა პარალელს მოციქულ პავლეს ეპისტოლესთან თესალონიკელთა მიმართ, სადაც ნათქვამია: „როცა იტყვიან მშვიდობა და უშიშობაო, სწორედ მაშინ დაატყდებათ თავზე სიკვდილი, როგორც ტკივილი- მშობიარეს და ვერ წაუვლენ"...ფაქტია, რომ საუდის არაბეთში ბოროტი სულის გამოძახების რიტუალი ჩატარდა ახალი „ექსტრემისტული იდეოლოგიის საწინააღმდეგო გლობალური ცენტრის" გახსნის ცერემონიალზე, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს შენიღბულ სატანურ-გლობალისტურ ტაძარს. სიტვა „გლობალური" მის სახელწოდებაში შემთხვევით როდია. სატანა, რომელიც გლობალისტური ახალი მსოფლიო წესრიგის პირველ იდეოლოგად მიაჩნიათ, ცნობილია ასევე როგორც „სიცრუის მამა". მტკიცება იმის შესახებ, რომ საუდის არაბეთი და მისი მომხრე აშშ, ექსტრემისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ გამოდიან, ისევე წარმოუდგენელია, როგორც ფუტკრები თაფლის წინააღმდეგ. ეს სიცრუე თვით ბელზებელსაც შოკში ჩააგდებდა.

არახალია, რომ საუდის არაბეთი ვაჰაბიზმის სამშობლოა. ვაჰაბიზმი გახლავთ მკვლელთა და ფანატიკოსთა სექტა, რომელიც არაბეთის ნახევარკუნძულზე სამი საუკუნის წინ იშვა. ისინი კლავდნენ მუსლიმებს, რომლებიც არ ეთანხმებოდნენმათ ექსტრემისტულ სწრაფვას და ყურანის ექტრემისტულ ინტერპრეტაციას. ვაჰაბიზმი იარაღით, რომ არ აღეჭურვა და მხარი არ დაეჭირა დიდ ბრიტანეთს, შემდეგ კი სიონოამერიკულ იმპერიას, ის დავიწყებას მიეცემოდა სხვა მრავალ ჰარაჯიტულ დაჯგუფებებთან ერთად, რომლებიც მცირე ხნით ჩნდებოდნენ და სწრაფად ქრებოდნენ...დღეს საუდის არაბეთი და აშშ თელ ავივში მსხდომარე თავიანთ ბატონებთან ერთად წარმოგვიდგებიან „ალ-ქაიდას", „ისის" და სხვა ვაჰაბითტურ-ექსტრემისტულ დაჯგუფებათა სპონსორებად და მომხრეებად. ხოლო მსოფლიოს მოსატყუებლად, ისინი თითქოს ებრძვიან ამ დაჯგუფებებს და მშვიდობისთვის იღწვიან. ამიტომაც „ექსტრემისტულ იდეოლოგიასთან მებრძოლი გლობალური ცენტრი"- დიდი, ეშმაკური სიცრუეა, ხოლო ცერემონიის ჭეშმარიტი დანიშნულება, რომლის ცენტრში მანათობელი ბურთი აღმოჩნდა ასეთია: ცრუ-ლიდერები, რომლებიც „ტერორიზმის საწინააღმდეგო ომს"უწევენ პროპაგანდას, დემონურ მისტიფიკაციას მიმართავენ მსოფლიოს დასაპყრობად. მანათობელ მისტიურ ბურთზე ხელის დადებით, ტრამპმა, სალმანმა და ალ-სისიმ ერთგულება შეჰფიცეს ანტიქრისტეს, რომელსაც მუსლიმები უწოდებენ დადჯალს და ამბობენ, რომ ის არის მომავალი ცრუ მესია, რომელიც გლობალური დიქტატურის მეშვეობით მთელი მსოფლიოს გაერთიანებას შეეცდება, ხოლო დიქტატურა და დიქტატორი უკვე დაპყრობილი იერუსალიმის ახალაშენებულ მესამე ტაძარში დაფუძნდება. ასეთია მასონობის გრძელვადიანი პროექტი, რომელიც შეიქმნა მეჩვიდმეტე საუკუნეში, ლონდონში და მისი შემომქმედები კაბალისტები და ცრუ მესიის შაბთაი ცვის მიმდევრები არიან. შაბათანები (შაბთაი ცვის მიმდევრები) საკუთარ თავს უძლვნიან „ღმრთის მაიძულებელ ხელს", ანუ ღმრთის იძულებას „მოიყვანოს მესია". მათ სწამთ, რომ შეუძლიათ ამისი გაკეთება, თუკი სისტემატურად და რელიგიურ ნიადაგზე ჩაიდენენ ბოროტებას და ეთაყვანებიან მას. შაბათანები ათი მცნების საწინააღმდეგოდ ატარებენ ოკულტურ ცერემონიებს, დაკავშირებულს სექსუალურ ორგიებთან, ადამიანების მსხვერპლთშეწირვას განსაკუთრებით კი ყრმათა მსხვერპლთშეწირვას...მათი მიზანია საკუთარ რიგებში ჩააბან ელიტის წარმომადგენლები და ერთად მოაწყონ ოპერაცია „ანტიქრისტე". შაბათიანებმა მოამზადეს გროტესკული წარმოდგენა ჯადოქართა გადაცმით, მითოლოგიური ფეტიშისტებისადმი მისაძღვნელად. ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება- სატანიზმის მხარეს გადაიბირონ ქრისტიანული ელიტა. დღეს მასონური ლოჟები- ორგანიზებული დამნაშავეობის გლობალური სინდიკატის ძირითადი საყრდენია...

ტრამპი, არაბეთის შემდეგ „ოკუპირებულ იერუსალიმს"სტუმრობდა, წმინდა ქალაქს რომელიც დღეს სიონისტებს აქვთ დაკავებული და ცდილობენ ღმრთის სახლის (ეკლესიის)განადგურებას და ალ-აქსას ცნობილი მეჩეთის დანგრევის შემდეგ იმავე ადგილზე მომავალი დევნისა და სისხლისღვრის ტაძრის აღდგენას, რომელშიც მათი რწმენით ანტიქრისტე „დაივანებს". პრესაში გავრცელებული ინფორმაციით ტრამპი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ განსხვავებულ აზრებს გამოთქვამდნენ „მომავლის ტაძრის" მშენებლობასთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, ბენიამინი ჩქარობდა და ტრამპს შესთავაზა აშშ ს საელჩოს სასწრაფოდ იერუსალიმში გადმოტანა რის შემდეგაც დაიწყებენ საბოლოო ომს, რომელიც ალ-აქსის აფეთქებით და მის ადგილზე სისხლის ტაძრის (სოლომონის)აშენებით დამთავრდება. ტრამპის მრჩევლები კი ამბობდნენ, რომ ჯერ დრო არ მოსულა. ფაქტია, მოვლენები როგორც არ უნდა განვითარდეს ბენიამინის და ტრამპის მრჩევლები კონსენსუსს იპოვიან ახალი მსოფლიო წესრიგის ლუციფერიანული პროექტი, რომელიც 9/11-ის ტერაქტის მასობრივი ადამიანური მსხვერპლშეწირვით დაიწყო, თავის დამამთავრებელ ეტაპში შევა და ეს არცთუ შორეულ მომავალში მოხდება. თუ დავუშვებთ, რომ ტრამპი თავისი ქალიშვილის, სიძის და შვილიშვილების მეშვეობით მთლიანად სატანური ხაბადის კონტროლქვეშ იმყოფება, მაშინ ღირს დაფიქრება იმაზე, რაც დღეს მსოფლიოში ხდება. ხაბადურ საიტზე გასული წლის 14-ნოემბერს, აშშ- ს პრეზიდენტის არჩევიდანვე, გამოქვეყნებული იქნა ცნობა „უზენაესის სრული გახსნა გათავისუფლების ჟამს" რომელშიც ნათქვამია: „ჭეშმარიტი და სრული გათავისუფლება, რომელიც ახლა უნდა დადგეს, ყველა პარამეტრებით ყველა წინა დევნულებისგან გათავისუფლებაზე აღმატებული იქნება. ის ეგვიპტიდან იზრაელის გამოსვლაზე მეტიც იქნება, რომელიც დროებითი იყო, რადგან გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ მოიწია განთესვამ. ხოლო ჩვენი გათავისუფლება მარადიული იქნება-იმის შემდეგ უკვე არასდროს გვექნება დევნულების ტანჯვა". ამ „ცნობას" იუდეველურ საიტზე, საინტერესო ფოტო ახლავს. მოშიახი გამოსახულია გვირაბის ბოლოს, გვირაბი კი გოტარდის გვირაბს გავს. რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ დემონური რიტუალით გაიხსნა რომელიც ანტიქრისტეს მოპატიჟებას და ანტიქრისტე- მოშიაყთან შეხვედრის სცენებს ასახავდა. აღსანიშნავია რომ „დიდ რიტუალს" ევროპის პოლიტბომონდი ესწრებოდა...



და ბოლოს, აღორძინების გზაზე მდგომმა სინედრიონმა გასული წლის ბოლოს პუტინს და ტრამპს მოუწოდა გააერთიანონ ძალისხმევა და აღასრულონ თავიანთი ბიბლიური როლი იერუსალიმში მესამე ებრაული ტაძრის აღსადგენად.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ფილ შნაიდერი უცხოპლანეტელებისა და ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ

**1995 წელს ამერიკის ქალაქებში ლექციებით გამოდიოდა ვინმე ფილ შნაიდერი. თავის გამოსვლებში ის ამტკიცებდა, რომ აშშ-ის მთავრობამ უკვე დიდი ხნის წინ დაამყარა მჭიდრო კონტაქტი უცხოპლანეტელებთან და ისინი ერთობლივ პროექტებსაც ახორციელებდნენ...**




### „სიმართლისმძებნელი“ ფილ შნაიდერი

ყოველი დაქირავებული თანამშრომელი, ფირმის საიდუმლოებებთან უშუალო შეხებამდე ფიცს დებს, რომ ყველაფერს საიდუმლოდ შეინახავს. მინიჭებული ნდობით აღსავსენი ფურცლავენ საქაღალდეებს, სადაც საიდუმლო დოკუმენტები ინახება. კომპანიის მუშაობის მეთოდები ყოველთვის როდი ჯდება მორალურ-ეთიკურ ნორმებში, ზოგჯერ კი ისინი აშკარად კრიმინალურ ხასიათსაც ატარებს.

ყველას არ შეუძლია ამის მიღება და პრესაში ჩნდება „სიმართლის მაძიებლების“ მამხილებელი ინტერვიურები... ისინი კარგავენ სამსახურს, რეპუტაციას, ეკონომიკურ უსაფრთხოებას. აშშ-ში მოქმედებს ფედერალური და ადგილობრივი კანონები, რომლებიც ასეთ ადამიანებს იცავს.



ფილი მაღალკვალიფიციური გეოლოგი და სამთო ინჟინერი იყო და 70-იანი წლების ბოლოს მიწვეული იყო მიწისქვეშა საიდუმლო ბაზების მშენებლობაზე, როგორც აშშ-ში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. 1979 წელს იგი ნიუ-მექსიკოში ბაზა „დულსეში“ მიავლინეს.

### სასაკლაო „დულსეში“

მიწისქვეშა ბაზა „დულსეს“ რამდენიმე დონე ჰქონდა და მიწაში 2,5 მილის სიღრმეზე ჩადიოდა. შნაიდერის გუნდი ბურღავდა მიწას, ფილი ადგენდა, რა ტიპის ნივთიერებები უნდა გამოეყენებინათ მიწისქვეშა აფეთქებებისთვის. მიწისქვეშ ფილმა და მისმა გუნდმა აღმოაჩინეს ჰუმანოიდებით სავსე დიდი სივრცე. სროლის დროს 66 სპეცრაზმელი დაიღუპა. შნაიდერმა უცნობი იარაღით დამწვრობა მიიღო მკერდის არეში და რამდენიმე თითი დაკარგა.

შნაიდერის მტკიცებით, „დულსეში“ მომხდარი შემთხვევის შემდეგ მისთვის საიდუმლო დოკუმენტებთან წვდომის დონე ამაღლდა და მან შეიტყო აშშ-ის მთავრობასა და უცხოპლანეტელებს შორის არსებული საიდუმლო შეთანხმების შესახებ.

### “GREADA TREATY” (გრეადის შეთანხმება)

ამო-ს პრობლემების შესწავლით აშშ-ის მთავრობის მიერ შექმნილი სპეცკომისია 1933 წლიდან იყო დაკავებული. 1935 წელს დედამიწაზე უცხოპლანეტელების არსებობა ფაქტად იქნა მიჩნეული. მომდევნო 20 წლის განმავლობაში სწავლობდნენ უცხოპლანეტელებს მიზნებს და კონტაქტების დამყარების გზებს. 1954 წლის 20–21 თებერვალს პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი უცხოპლანეტელთა ცივილიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

პირველი შეხვედრა უშედეგო აღმოჩნდა. უცხოპლანეტელებმა უარი განაცხადეს, გადაეცათ დედამიწელებისთვის (ამერიკელებისთვის) რაიმე სახის მოწინავე ტექნოლოგიები, სამაგიეროდ, მოითხოვეს იარაღის გარკვეული ტიპების შემუშავების შეწყვეტა. აშშ არ დაეთანხმა სამხედრო პროექტების შეჩერებას...

კონტაქტები გაგრძელდა და შედეგად დადებული იქნა ე.წ. „გრეადის შეთანხმება, რომლის თანახმადაც: 1. უცხოპლანეტელები არ ჩაერეოდნენ დედამიწელთა საქმეებში; 2. დედამიწელები (აშშ-ის მთავრობა) საიდუმლოდ შეინახავდნენ დედამიწაზე უცხოპლანეტელების არსებობას; 3. უცხოპლანეტელები დახმარებას გაუწევდნენ დედამიწელებს ტექნიკურ განვითარებაში (ეს ეხებოდა მხოლოდ ამერიკელ ერს); 4. უცხოპლანეტელებს შეეძლოთ სამეცნიერო მიზნებისთვის წაეყვანათ ადამიანები და ცხოველები. გამოკვლევების შემდეგ ადამიანებს უკან დააბრუნებდნენ...

ამ შეთანხმების შედეგი იყო მრავალრიცხოვანი მიწისქვეშა ბაზები, სადაც დედამიწელები არამიწიერ ტექნოლოგიებს შეისწავლიდნენ, უცხოპლანეტელები კი ექსპერიმენტებს ატარებდნენ „ადამიანურ მასალაზე“. შნაიდერის განცხადებით, აშშ-ის ტერიტორიაზე დაახლოებით 130 ასეთი ბაზა იყო. მათგან მას მხოლოდ ორის დასახელება შეეძლო, სადაც თავად იყო ნამყოფი: ბაზა „დულსე“ (ნევადის შტატი) და ბაზა „ზონა 51“-ში (ნიუ-მექსიკოს შტატი).

„დულსეს სასაკლაო“ ხელმძღვანელობამ „სავალალო გაუგებრობად“ მონათლა.

### განდეგილი

დროთა განმავლობაში ფილი უფრო ხშირად რწმუნდებოდა, რომ უცხოპლანეტელები შეთანხმებას არ ასრულებდნენ. მართალია, ამერიკის თავდაცვის მრეწველობისთვის ბევრი მოწინავე გამოგონება მათი დახმარებით განხორციელდა, მაგრამ, ამასთანავე, სულ უფრო მეტი ადამიანი იკარგებოდა უგზოუკვლოდ და მთავარიც: ფილს უკვე ეჭვი ეპარებოდა, რომ იგი ამერიკელი ხალხისა და მთელი დედამიწის საკეთილდღეოდ მუშაობდა. მომავალში იგი ხედავდა ახალ მსოფლიო წესრიგს, რომლის მმართველობაშიც უცხოპლანეტელები და დედამიწის არისტოკრატიის მცირე ნაწილი იქნებოდნენ, ხოლო დედამიწელთა უდიდესი ნაწილი საკუთარ პლანეტაზე უტყვ მონებად იქცეოდა.

1994 წელს შნაიდერმა შეწყვიტა თანამშრომლობა აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურებთან. გეოლოგობას აშშ-სა და კანადაში ლექციებს უთავსებდა.. იგი მუდმივად იმეორებდა: „მე არ მოგიწოდებთ, რომ ბრმად დამიჯეროთ. შეაჯერეთ ცნობილი ფაქტები და იფიქრეთ“...

თავისი სიტყვების დასადასტურებლად ფილს არ შეეძლო წარმოედგინა არც ერთი დოკუმენტი, ფოტო, კინოფირი. მაგრამ არსებობდა სხვა მოწმეების ჩვენებები. ფილი ერთადერთი არ ყოფილა, ვინც „დულსეს“ ბაზისა და 1979 წლის სასაკლაოს შესახებ იცოდა.

### პოლ ბენევიცი

1979 წლის ბოლოს პოლ ბენევიცმა რამდენიმე უჩვეულო რადიოგრამა „დაიჭირა“. ერთი წლის შემდეგ უკვე რამდენიმე ათეული რადიო და ტელეტრანსლაცია ჰქონდა მიღებული. პოლმა დაადგინა მათი მიღების წერტილი — არჩულეტ-მესის მთა, რომელიც „დულსეს“ მახლობლად მდებარეობდა, რადგან იმ რაიონში არავითარი ნაგებობა არ იყო, ბენევიცი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ობიექტი მიწისქვეშ მდებარეობდა.

პოლმა იპოვა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ უცხოპლანეტელებმა მოიტაცეს და დულსეს მიწისქვეშა ბაზაზე მიიყვანეს, სადაც მათზე ექსპერიმენტები ტარდებოდა. მირნა ჰანსენმა ჰიპნოზის სეანსის დროს დაწვრილებით აღწერა უცხოპლანეტელთა ლობორატორია.

1980 წელს პოლმა მის მიერ შეგროვილი მასალები ოფიციალურ პირებს გადასცა, მაგრამ გამოძიება ბენევიცის დევნისა და მის მიერ შეგროვილი მასალების დისკრედიტაციის კამპანიაში გადაიზარდა. პოლს ნერვული აშლილობა დაემართა და ამო-ს პრობლემების შესწავლას თავი დაანება.

### თომას კასტელო

თომას კასტელო „დულსეს“ ბაზაზე უსასფრთხოების სპეციალისტად მუშაობდა, მის დაქვემდებარებაში იყო სათვალთვალო კამერები. 1979 წლის ინციდენტის შესახებ მისთვისაც იყო ცნობილი და მომხდარის მიზეზებიც უწყოდა.

ყველაზე დაბალ — მე-6 და მე-7 დონეებზე უცხოპლანეტელები მასშტაბურ სამედიცინო ექსპერიმენტებს ატარებდნენ ადამიანებზე. შეთანხმების შესაბამისად, მათ ექსპერიმენტების შედეგები დედამიწელებისთვის უნდა წარედგინათ, რასაც არ ასრულებდნენ. სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს, მათთვის ჭკუა ესწავლებინათ. სპეცრაზმი შნაიდერის დახმარებით დახურულ ზონაში უნდა ჩასულიყო, ა დახმარება მათთვის ბაზის დედამიწელ თანამშრომლებს უნდა გაეწიათ, მაგრამ „ომი „დულსეში“ სპეცრაზმის გამარჯვებით არ დამთავრდა.

### სამუდამოდ დადუმებული

1995 წლის განმავლობაში შნაიდერმა 30-ზე მეტი ლექცია წაიკითხა. რა იყო ეს: გრანდიოზული მისტიფიკაცია თუ ფილმა მართლაც შეძლო საიდუმლოსთვის ფარდა აეხადა? მან განაცხადა, რომ წარმოადგენდა დოკუმენტებსა და მტკიცებულებებს, მაგრამ სიტყვა არ შეასრულა: 1996 წლის 11 იანვარს ფილ შნაიდერი საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს, კისერზე მავთულები ჰქონდა შემოხვეული. პოლიციამ სიკვდილს თვითმკვლელობის კვალიფიკაცია მიანიჭა. ამის შემდეგ იგი ვერავის ვერაფერს მოუყვება...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22



# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

რაც შეეხება ჯაფირის საფლავს, არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ საფლავი პრექრისტიანული სამარხი იყო (ნაპოვნია თიხის ჭურჭელი და ნემსი), თუმცა, საფლავი უკვე განათხრელი (კულტურული ფენები არეული იყო და საფლავის ზოგი ქვა ჩატრიალებული) დახვდათ და ძვლები მოპარულ-მიმალული.

ვის და რაში შეიძლებოდა დასჭირვებოდა გოლიათის სამარხის გათხრა და მისი (მათი) ძვლების დამალვა? ამ მხარეში მანამდე არ ჩატარებულა არც ერთი ოფიციალური არქეოლოგიური ექსპედიცია; არქეოლოგებს რომ გაეთხარათ, პირველი გათხრის წესი უდიერი არ იქნებოდა; განძის მაძიებლებმა გათხარეს? – მათ არაფერში ჭირდებოდათ ძვლები, ანუ იქვე დატოვებდნენ. დაუდასტურებელი ეჭვია, რომ ეს ჩაიდინა მაშინდელმა „ენკავედემ“, რომელმაც დიდძალი არტეფაქტები და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი წიგნები გაზიდა საქართველოდან. (ესეც არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორიც იმისა, რომ საქართველოს ისტორია სავსეა თეთრი ფურცლებით და გადაფარულია გაყალბებული ისტორიებით) მართლია, „ენკავედე“ წითელი საბჭოეთის პარტიული ორგანო იყო და მაშინდელი საზოგადოებრივი ხაზი ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდა ყოველივე ზებუნებრივსა და ანომალიურს, მაგრამ ჰყავდათ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც მსგავსი მასალების მოძიებას მთელი სსრკ-ის მასშტაბით ანხორციელებდნენ, ანუ უპირველესად, „ენკავედეს“ საცავებში უნდა ვეძიოთ საქართველოდან წაღებული გოლიათი რაჯიფის ძვლებიცა და ჯაფირისა და მისი მეუღლის ძვლებიც...


წითური გიგანტი ქალი ჩინეთში

ამბავი გოლიათებზე სვანეთშიც არის შემონახული და მათი საძვალე ადგილებიც, სადაც ადამიანს თავისი მიცვალებულის დაკრძალვა აკრძალული აქვს. სვანეთში გოლიათების მოდგმას „ბუშებს“ უწოდებდნენ. გადმოცემის მიხედვით, ისინი ადამიანების გვერდით ცხოვრობდნენ, წარჩინებულთა კასტას მიეკუთვნებოდნენ და ადამიანებს მფარველობდნენ, მაგრამ შემდეგ – ასახელებენ კონკრეტულ გვარსაც, აფრასიძეებს, რომლებმაც სოფელზე ბატონობის გამო გოლიათები ამოხოცეს. ამბობენ, რომ სიმაღლითა და ძალით გამორჩეული ბუშები მშენებლობის საოცარ ტექნიკასაც ფლობდნენ და მათი ნაშენია როგორც მეგალითის ხანის ნაგებობები, ისე – სვანური კოშკებიც.

მეცნიერებას ის ვერ გაურკვევია, ვინ იყვნენ, საიდან და რატომ მოვიდნენ დედამიწაზე პირველი გიგანტები (უფრო მომცროები, 3–7 მეტრი, ან მეტი სიმაღლისა, ჩავთვალოთ, რომ ადამიანებთან შეწყვილების შედეგად იყვნენ დაპატარავებულები) და თავსატეხად დაერთო, რომ გიგანტების ცალკე კატეგორიაც ყოფილა, გიგანტი წითური კაციჭამიები.

ამერიკელ ინდიელთა ტომმა, პაიუტებმა, გადმოცემით იციან, რომ შორეულ წარსულში მათი წინაპრები გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდნენ მტაცებელ, მოხტუნავე თეთრ-წითურ გიგანტებთან, რომლებიც ადამიანებს იტაცებდნენ და ჭამდნენ. მათი სიმაღლე 12 ფუტს (4,8 მეტრი) ან მეტსაც აღწევდა და როგორც ჩანს, ისინი იქ შემდგომში კი არ გაჩდნენ, უკვე ცხოვრობდნენ. ისინი გიგანტებს „სი-ტე-კა-ს“ უწოდებდნენ. მათი თქმით, ყველა ტომი გაერთიანდა რათა მოესპოთ წითური გიგანტები. ერთხელ, როდესაც ჯერ კიდევ შემორჩენილ წითურებზე ნადირობდნენ, გაქცეულმა გიგანტებმა გამოქვაბულს შეაფარეს თავი, რომელსაც გარედან ცეცხლი შეუნთეს და აიძულებდნენ დაეტოვებინათ გამოქვაბული. ვინც გამოვიდა – დახოცეს, შიგნით დარჩენილები კი გაიგუდნენ. შემდგომ მიწისძვრამ ჩახერგა გამოქვაბული.

თორმეტ ფუტამდე სიმაღლის წითური გიგანტების არსებობას მართლაც ადასტურებს პალეონტოლოგიური მატიანეები და გათხრების შედეგად აღმოჩენილი უამრავი არტეფაქტი.



ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის წითურ გიგანტებზე, რომლებიც გამოთვლის მიხედვით მამონტების ამოწყვეტამდე დიდი ხნით ადრე შიშის ზარს სცემდნენ ადამიანებს, ბევრი არაფერია გამოკვლეული. ნამარხების მიხედვით, მათ ეცვათ საშუალო ზომის პერანგები და შარვლები, რომლებიც მუხლებთან ფართოვდებოდა. ქურქი ცხვრისას წააგავს, მაგრამ თანამედროვეობისთვის უცხო ცხოველს ეკუთვნის. ანუ „წითურები“, როგორც სხვა გიგანტები, სხვა რასა იყო თუ არა, გაურკვეველია.

წლების წინ ჩრდილოეთ ჩინეთშიც აღმოაჩინეს არქეოლოგიური გათხრების დროს 22 უცნაური გიგანტის სამარხი. ყველა მათგანი თითქმის 12 ფუტი სიმაღლის იყო და გამხმარ თავზე შერჩენილი ჰქონდათ წითური თმები...

მეცნიერთა ერთი ჯგუფი დაბეჯითებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ 1890 წელს ეგვიპტეში, ქვის სარკოფაგში, თიხის „კუბოში“ ორმეტრიანი ქალის მუმია ესვენა მცირეწლოვან გოგონასთან ერთად და მისი აღნაგობა არ ჰგავდა ადამიანისას. ხაზი გასმულია იმაზე, რომ დედა-შვილი წითურთმიანები იყვნენ, ადრინდელი დიაოხის მოსახლეობა კი სწორედ მოწითურო ქერათმიანი იყო. და რას ნიშნავს ეს განაცხადი, რომ დიაოხელები დედამიწელები არ იყვნენ?

უცნაურია – თუ მხოლოდ თმის ფერით მოხდება „რაღაცების“ დასკვნა, მაშინ ისღა დარჩება გამოსკვლევი, დიოხების წინაპრები და წითური კაციჭამიები ახლო ნათესავები ხომ არ იყვნენ. სადაც თეთრი, ზორბა კოლხები იყვნენ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, იქაც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე წითური ზორბა კაციჭამია დიაოხები ყოფილიყვნენ, რა გასაკვირია, რამ გაყო დიაოხი და კოლხა – ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით...

სხვადასხმა მიმართულების მეცნიერების მიერ აქამდე აღმოჩენილი, გაშიფრული თუ დადასტურებული დასკვნები, მხოლოდ მოსაზრებები და ვერსიები რომ შევაჯეროთ და მარტივად ვთქვათ, ისე ჩანს, რომ ადამსა და ევამდე არსებობდნენ უფრო ძველი ხალხები, ცის ღმერთის, ანის შვილები – ანუ კოლხები?

რაც შეეხება მითიურ ტიტანებსა და გოლიათებს, ჩავთვალოთ, რომ მართლაც მიწიერი ბუმბერაზები იყვნენ, ადამიანების გვერდზე ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ და სულაც ადამიანებისა და მათი თავდაპირველი წინაპრის შერწყმის შთამომავლები იყვნენ, მაგრამ ვინ იგულისხმება „ღმერთებში“, რომლებსაც ისინი ებრძვიან, ზოგჯერ ამარცხებენ კიდეც და ის „მეხთამტყორცნელი“ ღმერთები მაშინაც ციდან რატომ მოდიან?

„დაბადების“ მე-6 თავში ვკითხულობთ: „როდესაც ადამიანებმა გამრავლება დაიწყეს დედამიწაზე და ასულები შეეძინათ, დაინახეს ღვთისშვილებმა, რომ მშვენიერნი იყვნენ ადამიანთა ასულები და მოჰყავდათ ცოლად, ვისაც ვინ მოეწონებოდა“. ხომ საინტერესოა, ვინ არიან აღნიშნული ღვთისშვილები, როგორია მათი წარმოშობა, ბოლოს და ბოლოს, არიან თუ არა დღეს დედამიწაზე?

მამა გიორგის (ბასილაძე) მცირე კომენტარი: – ბიბლია მიუთითებს, რომ „ღვთისშვილები“ ჩამოდიოდნენო. გასაგები უნდა იყოს ის, რომ ისინი ადამიანური წარმოშობისანი არ არიან და ამავე დროს არც ანგელოზები არიან – რამდენადაც ვიცით, ანგელოზები არ ქორწინდებიან, არც თხოვდებიან და არც ცოლს ირთავენ!



ბიბლია უჩვენებს, რომ ძველ დროში ადამიანები იცნობდნენ ღვთისშვილებს. გავიხსენოთ ნაბუქოდონოსორ მეფის სიტყვები: „ოთხ ხელ-ფეხ გახსნილ კაცს ვხედავ შუაგულ ცეცხლში მიმოდიან ისინი უვნებლად, მეოთხე შეხედულებით ღვთისშვილს ჰგავს!“

იობის წიგნიდან: – „ერთ დღეს მოვიდნენ ღვთისშვილები უფლის წინაშე წარსადგომად, სატანაც მოვიდა მათ შორის“ (იობ. თ. 1.6)

ჩვენი წინაპრები ცნობდნენ ღვთისშვილებს და საკმაო ცოდნა გააჩნდათ მათზე. ქართულ მითოლოგიაში ბევრი სულიერი ცოდნაა დაფარული და ქართველთა დევნის ერთ-ერთ მიზეზს სწორედ განსხვავებული რელიგიური ცოდნა წარმოადგენდა. ერთმორწმუნე „მოძმე“ ერები არანაკლები სისასტიკითა და მძულვარებით გვდევნიდნენ სწორედ მათთვის გაუგებარი და მათზე აღმატებული რელიგიური ცოდნის გამო, ამიტომ ჩვენმა წინაპრებმა ეს ცოდნა დაფარეს და ზოგი მათგანი მითებისა და ზღაპრების სახით ვრცელდებოდა ერში. სამწუხაროდ, ქართველებმა ბევრი ამ ცოდნიდან დავკარგეთ ჟამთა სიავის გამო... დავკარგეთ სულიერი ხედვაც და გასაღებიც ამ მითებში დაფარული ცოდნისა, რის გამოც ბევრი მითი მხოლოდ მითადვე რჩება და სხვა რაიმე სერიოზული ჩაკვირვების საგანს აღარ წარმოადგენს...

„ღვთისშვილები“ დღესაც დადიან დედამიწაზე, განსაკუთრებით კი ქართველებში!...

ისინი ჩვენი მსგავსი ფიზიკური სხეულებით არიან ჩვენში, თუმცა მათ განმასხვავებელი ნიშნებიც აქვთ, რაც ჩვეულებრივი ადამიანის თვალისთვის ძნელად აღმოსაჩენია, წმინდანები კი ხედავენ. მათ სამი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი აქვთ. თუ იშრომებთ და მიაღწევთ წმინდანობამდე, თქვენც ამოიცნობთ „ღვთისშვილებს“. ეს პასუხი იკმარეთ, რადგან მეტი დაკონკრეტება კიდევ ახალ კითხვებს აღძრავს და პასუხისთვის მზად უნდა იყოთ როგორც სულიერად, ასევე გონებრივად.“

არცთუ უინტერესო გადახვევა – სწორედ „დაბადების“ მე-6 თავში და სწორედ „ღვთისშვილებთან“ დაკავშირებით წერია: – და თქვა უფალმა: არ დარჩება ჩემი სული ადამიანში საუკუნოდ, რადგან ხორცია იგი. იყოს მისი ხანი ასოცი წელი. ბუმბერაზები (ნეფიმილები) იყვნენ იმ ხანებში ქვეყნად და მას მერეც, როცა როცა ღვთისშვილები შედიოდნენ ადამიანის ასულებთან, რომელნიც უშობდნენ მათ. ძლიერები იყვნენ ისინი, ძველთაგანვე სახელოვანი ხალხი“. (დაბ. 6:1–4) (ასეა სინოდალურ თარგმანში)

მაგრამ, არსებობს სხვა თარგმანიც (სეპტუაგინტას, ანუ ბერძნული ტექსტის მიხედვით) უფლის სიტყვებისა: „და თქუა უფალმან ღმერთმან: არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა ამათ შორის უკუნისამდე ყოფისათვის მათისა ხორც, ხოლო იყვნენ ასოც წელ.“ როგორც კომენტატორები განმარტავენ, სული, რომელიც ღმერთმა ადამიანში ჩადო, ამიერიდან სხეულს უფრო ადრე დატოვებს, ვიდრე უწინ, კერძოდ, 120 წლის შემდეგ და იმ დროიდან ეს ციფრი მიიჩნევა მაქსიმალურ ხნოვანებად ადამიანისა (ან 120 წელი იყო დარჩენილი წარღვნამდე).

დღეს, მხედველობაში ვღებულობთ რა იმას, რომ ჩვენს თვალწინ აშკარავდება წარღვნამდელი ცივილიზაციის არსი (რასაც ეძღვნება კიდეც წინამდებარე გამოკვლევა), მივდივართ იმის შეგნებამდე, რომ ღმერთის ეს სიტყვები სხვა არაფერია თუ არა მითითება წარღვნამდელი ადამიანების მშფოთვარებაზე ღმრთისა და შემოქმედის წინააღმდეგ; მითითება მათ აჯანყებაზე რომელიც ღმრთის საწინააღმდეგო, სატანურ პროექტებში მონაწილეობაში მდგომარეობს. ამ ადგილის ამგვარი გაგების დამატებით დასტურად, შეიძლება, გამოდგეს ის, რომ ამ სიტყვების შემდეგ მყისიერად იწყება საუბარი ნეფიმილებზე.

ნეფიმილთა წარმომავლობაზე სხვადასხვაგვარი ვარაუდი არსებობს. „ენოქის წიგნის“ მიხედვით (ქრისტეშობამდე II ს. აპოკრიფული ნაწარმოები) „ღმრთისშვილები“ არიან სულები, რომლებიც დანაშაულებრივ კავშირში შევიდნენ მიწიერ ასულებთან, ასწავლეს მათ ჯადოქრობა და შელოცვები, რისი წყალობითაც „გამოჩნდა უდიდესი უკეთურება“ (ენოქი 7–8). ეს განმარტება მიიღო ფილონმა და ეკლესიის ზოგიერთმა მამამ და მოძღვარმა, მაგალითად: წმ იუსტინემ, ირინეოსმა, ტერტულიანემ, ამბროსიმ.




(გაგრძელება იქნება)

# არსებობს თუ არა ახალი „ცივი ომის“ საშიშროება?

აშშ-რუსეთს შორის დიპლომატიური უთანხმოება სულ უფრო მძაფრდება, რაც, ადვილი შესაძლებელია, ახალ „ცივ ომში“ გადაიზარდოს. საჯილდაო ქვა, მოსალოდნელი სანქციების გარდა, რუსეთისთვის დიპლომატიური ქონების დაბრუნებაა, რომელიც ობამას ადმინისტრაციამ შარშან დეკემბერში ჩამოართვა. პოლიტოლოგების განცხადებით, საკითხი იოლად ვერ გადაიჭრება, რადგან დღევანდელი ადმინისტრაცია რუსეთს ახალ-ახალ პირობებს უყენებს. ამერიკელი პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ აშშ-ის ადმინისტრაციას, შესაძლოა, სურს, დაუბრუნოს





ქონება, მაგრამ ამას უცებ ვერ გააკეთებენ. საამისოდ დიპლომატიური მოლაპარაკებებია აუცილებელიო.

შარშან რუსეთის საელჩოსთვის ქონების ჩამორთმევის მიზეზად იქ მყოფი ჯაშუშური ქსელის არსებობა დაასახელეს. თუმცა ორივე ქვეყნის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ინფორმაცია ამის გარეშეც საკმაოდ ბევრი გაედინებაო. ქონების დაბრუნება რუსეთისთვის მხოლოდ პრინციპული საკითხია.

რუსეთისთვის სანქციების დაწესება-გახანგრძლივების თაობაზე საუბარმა ევროკავშირის შეშფოთება გამოიწვია. აშშ-ის მხარე მკაცრად ითხოვს „ჩრდილო ნაკადი-2“ გაზსადენის მშენებლობის შეჩერებას. ამ შემთხვევაში ევროპის ქვეყნებში ენერგორესურსებზე ფასები გაიზრდება. ბრიუსელში, გავრცელებული ინფორმაციით, სანქციების დაწესებას უკანონოდ მიიჩნევენ. ჟან კლოდ იუკერმა ორი დღის წინ მიმართვა გაუგზავნა ტრამპს. იგი აშშ-ის მხარეს სთხოვს, სანქციები არ შეეხოს ევროკავშირში ენერგომატარებლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირი, შესაძლოა, საერთოდ არ შეუერთდეს სანქციებს.

გასაგებია ევროპელთა შეშფოთება, რადგან დაჩქარებული ტემპით შენდება „სამხრეთ ნაკადის“ გაზსადენი, რომლის მეშვეობითაც თურქეთი, ფაქტობრივად, მონოპოლისტი გახდება ევროპის ბაზარზე. ეს მაშინ, როდესაც თურქეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის უთანხმოებაა. ახლახან გერმანელმა პოლიტიკოსებმა და თურქეთის პრეზიდენტმა ერთმანეთის მიმართ საკმაოდ მკვეთრი განცხადებები გააკეთეს. ექსპერტები დიპლომატიურ სკანდალს არ გამორიცხავენ, რადგან ორივე ქვეყანა ერთმანეთს ტერორიზმის მფარველობაში ადანაშაულებს.



რადგან ტერორიზმი ვახსენეთ, აქვე ვიტყვით, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს განცხადებით, მხოლოდ სირიაში მათთვის ცნობილია 173 პირის ვინაობა, რომლებსაც ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლიათ განახორციელონ თვითმკვლელობა ტერორისტული აქტის მიზნით. ეს გარემოება, ვფიქრობთ, საყურადღებოა ჩვენი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურებისთვისაც.

გასულ კვირას ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ორი მოვლენა მოხდა. უკრაინის პრეზიდენტი, საქართველოში ვიზიტის შემდეგ, რომელიც ბინოკლით ცდილობდა ყურადღების მიპყრობას, ბელორუსის პრეზიდენტს შეხვდა კიევში. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ლუკაშენკოს კიევში ვიზიტი შემთხვევითი არ ყოფილა. არც იმ გარემოებას გამორიცხავენ, რომ ის მოსკოვის დავალებით ესტუმრა უკრაინას. რუსეთ-ბელორუსის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა საყოველთაოდაა ცნობილი და ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ლუკაშენკო კონკრეტული მისიით იმყოფებოდა კიევში. ცნობილი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაზე ისაუბრეს. თუმცა, მიმომხილველების ვარაუდით, სალაპარაკო ბევრი ჰქონდათ, თუნდაც აღმოსავლეთ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტა. ლუკაშენკოს შემდეგ კიევს უკრაინის საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი უოლკერი ესტუმრა. ორივე ვიზიტის შედეგები, სავარაუდოდ, მომავალში გამოჩნდება.

და ყველაზე მთავარი: სოჭში, სამთავრობო რეზიდენციაში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი აზერბაიჯანელ კოლეგას ილჰამ ალიევს მასპინძლობდა. რეგიონში არსებულ სიტუაციაზე და მის უსაფრთხოებაზე ვისაუბრეთო, განაცხადეს პრეზიდენტებმა. რას გულისხმობდნენ „რეგიონის უსაფრთხოებაში“, უცნობია, მაგრამ საეჭვო ის გახლავთ, რომ შეხვედრა პუტინსა და ალიევს შორის სწორედ პოროშენკოს თბილისში ვიზიტის შემდეგ შედგა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ პრესამ, მათ შორის, რუსულმა მედიამ, პუტინ-ალიევის დიალოგი გაკვრით, სხვათა შორის გააშუქა. დამაფიქრებელი და ღრმად გასაანალიზებელი მოვლენაა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

## ჯუმბერ კეკელიას ხსოვნას!



**ნუცუბიძის ქუჩის 179-ე კორპუსის მაცხოვრებლები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა**

**ჯუმბერ კეკელია**

**ყველა ჩვენგანისთვის საყვარელი ადამიანი, გულისხმიერი მეზობელი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ერთგული მეგობარი, სიკეთით და სინათლით სავსე კაცი.**

**ჯუმბერ, ჩვენო ძვირფასო ძმაო და მეგობარო, ამიერიდან ძალიან დაგვაკლდები, დაგვაკლდება შენი კეთილი ღიმილი, შენი გულიანი სალამი, შენი თბილი და გულისხმიერი სიტყვა.**

**ნათელში ამყოფოს შენი სული!**

**მეზობლები**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— **მაინტერესებს სამისდღეშიო რჩენის საკითხი სამოქალქო სამართლიდან.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს სამოქალაქო კოდექსის 26-თავი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

— თავი ოცდამეექვსე
სამისდღეშიო რჩენა
მუხლი 941. ცნება

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

მუხლი 942. ხელშეკრულების ფორმა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 943. სარჩოს ოდენობა

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 944. სარჩოს გადახდის ვადები

სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მისი ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 945. გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა

1. სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

2. როცა სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, მაშინ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას აქვს იპოთეკის უფლება ამ ქონებაზე.

მუხლი 946. შედავება სარჩოს გადახდის გამო

სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს.

მუხლი 947. ნატურალური სარჩოს გადახდა

ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

მუხლი 948. გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

მუხლი 949. უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე

1. როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

2. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 950. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები

1. მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

2. მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

* * *

— **უარს ვამბობ სამკვიდროდან ჩემი წილის მიღების შესახებ ძმის სასარგებლოდ. რა ფორმით, რა ვადაში უნდა გავაკეთო ეს?**

— თქვენ უფლება გაქვთ, უარი თქვათ სამკვიდროს მიღებაზე როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. უარის თქმისთვის, კანონმდებლობით დადგენილია სამთვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როცა თქვენ შეიტყვეთ ან უნდა შეგეტყოთ, რომ მიწვეული ხართ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად შეუდექით სამკვიდროს ფლობას – ამ დროს, ეს ვადა შეადგენს 6 თვეს.

* * *

— **გარდამეცვალა ძმა. მისი სახლი დარჩა მის მეუღლეს და შვილს. მე, როგორც დას, მეკუთვნის თუ არა წილი?**

— არა.

თქვენი ძმის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან მეუღლე და შვილი / ასევე, მშობლები, თუ ისინი ცოცხლები არიან/. და ან ძმა არის მეორე რიგის მემკვიდრე. მეორე რიგის მემკვიდრე მამკვიდრებლის ქონებას მიიღებს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობენ პირველი რიგის მემკვიდრეები. აქედან გამომდინარე, თქვენ, როგორც მეორე რიგის მემკვიდრე, გარდაცვლილი ძმის სამკვიდროდან წილს ვერ მიიღებთ.

* * *

— **განქორწინებული ვარ მეუღლესთან. ის ნებაყოფლობით იხდის ჩვენი მცირეწლოვანი შვილის მიმართსაალიმენტო გადასახადს. მიუხედავად ამისა, მაქვს თუ არა უფლება, თავის დაზღვევის მიზნით, მოვითხოვო ალიმენტის გადახდა სასამართლო წესით?**

— სასიამოვნოა, თუ თქვენი ყოფილი მეუღლე თავს არ არიდებს მამის მოვალეობას და ნებაყოფლობით იხდის შვილის მიმარ საალიმენტო გადასახადს.

თქვენს შეკითხვასთან დაკავშირებით, განგიმარტავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1232- ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მიმღების უფლებას, ნებისმიერ დროს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

# „ლეგენდა მარტვილზე“

მეღვინეობა ხარება
WINERY KHAREBA

14 ივლისს მარტვილში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი საზეიმოდ დაიხურა.

აი, რას მოგვითხრობს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ალექსანდრე გრიგალავა**:

— „ფესტივალი წელს მეორედ ტარდება, ჩვენი მეგობრების და თანამოაზრეების მხარდაჭერის გარეშე, პირდაპირ ვიტყვი, ვერ მივაღწევდით ასეთ შედეგს. უმშვენიერესი ღონისძიება გამოვიდა და ამ საქმეში გვერდით გვედგნენ, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე მეზობელი და მეგობარი მუნიციპალიტეტის გამგებლები — ჩხოროწყუს გამგებელი, ბატონი **დავით გოგუა**, აბაშის გამგებელი, ბატონი **მამუკა კვიტაშვილი**, გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **დავით ონაშვილი**, ფოთის მერი, ბატონი **ირაკლი კაკულია**.

ჩვენდა სასიხარულოდ, ამ საქმეში მონაწილეობის მიღების სურვილი ჩვენი რაიონის აღზრდილებმა, ბიზნესმენებმა, **ძმებმა ხარებავებმა** გამოთქვეს. ეს ადამიანები იმ პრინციპით ცხოვრობენ: მადლი ჰქენი, ქვას დადევი, გაიარე, წინ დაგხვდებაო. მათ არ უყვართ გაკეთებული საქმეების სახალხოდ გამოფენა, ამიტომ, ალბათ, მისაყვედურებენ, თქვენ რომ გიყვებით ამის შესახებ, მაგრამ თავს მოვალედ ვთვლი, კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა იმისთვის, რაც თუნდაც ამ დღეებში მარტვილელების გასახარად გააკეთეს.

წლევანდელ ფესტივალზე ათსამდე კოლექტივია მოწვეული, მათ შორის ლატვიელები, ბულგარელები, რუსები, ლაზები — იზმირიდან და ართვინიდან, რომლებიც, ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ქართულს იცეკვებდნენ და სიმღერებს ქართულად შეასრულებდნენ. ართვინელები და იზმირელები შესანიშნავად ლაპარაკობდნენ ქართულად.

უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები, ანსამბლების წევრები, უმეტესობა, პირველად იყო საქართველოში, მოხიბლული დარჩნენ, დავმეგობრდით. პრინციპში, ამ ფესტივალის მთავარი მიზანიც ეს არის — ხალხთა შორის მეგობრობის ჩამოყალიბება, კულტურათა გაცვლა, კონტაქტების შექმნა.

მომავალ წელს ვაპირებთ, უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გავხადოთ ფესტივალის რეპერტუარი და შემადგენლობა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა მუშაობს თავისი ხალხისთვის.

ეს ფესტივალიც მარტვილის მოსახლეობისთვის გაკეთდა.

კიდევ გავიმეორებ, ამისთვის დიდი მადლობა ქართული ღვინის კომპანია „ხარებას“ და ძმებ ხარებავებს, ჩვენს საამაყო მარტვილელებს...




**დავით გოგუა**, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი: მართლაც შესანიშნავი კონცერტები ჩატარდა. კულტურული ღონისძიებების გამართვა არა მხოლოდ რეგიონის, ქვეყნის სახელს გაიტანს, დააახლოებს ადამიანებს. მუდმივი ცხოვრებისეული პრობლემებისგან გათავისუფლების, განტვირთვის გარდა, შევიძინეთ მეგობრები თურქეთში, ბულგარეთში, ლიტვაში, რუსეთის ქალაქებში და ა.შ. და ა. შ. ხალხთა მეგობრობაზე უკეთესი დიპლომატია და პოლიტიკა არ არსებობს. გვიხარია, თანაც კეთილი შურით გვშურს, რომ მარტვილი ფოლკლორის ამ შესანიშნავი ფესტივალის ცენტრი გახდა.

**ლაშა გვასალია**, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსი: მოხარული ვართ, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტმა ასეთი შესანიშნავი ღონისძიება დაამკვიდრა რეგიონში. იმის მიუხედავად, რომ მარტვილი საყურადღებო მხარეა ტურისტული თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტმა სხვა, შეიძლება ითქვას, უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვაც შეიძინა, იგი საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის დამაარსებელი და ცენტრი გახდა. მივესალმებით ამ გონივრულ და კეთილშობილურ საქმეს, მადლობა ინვესტორებს და მონაწილეებს.

**ბადრი გვილავა**, ფესტივალის დირექტორი, ჩოხოსან რაინდთა დასის წევრი, ლოტბარი: ფესტივალის ჩატარება არ იყო ადვილი, უამრავი წინააღმდეგობა, სირთულე, ნერვიულობა გადავიტანეთ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად გამოგვივიდა. ბევრმა ქვეყანამ ჯერ არ იცის ქართული ფოლკლორის შესახებ, არ იცნობს ჩვენს ტრადიციებს, ჩვენ ვცდილობთ ეს ზღუდეები დავარღვიოთ, ხალხს ერთმანეთი გავაცნოთ, დავაახლოვოთ.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **ალექსანდრე გრიგალავას**, მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემავალ სამსახურებს მხარდაჭერისთვის, მადლობა ჩხოროწყუს, აბაშის, ფოთის, გორის მუნიციპალიტეტების გამგებლებს, კულტურის სამსახურებს, თანადგომისთვის. მადლობა მოსახლეობას, ოვაციებით რომ ხვდებოდნენ ფესტივალის მონაწილეების გამოსვლებს.

მადლობა ფესტივალის სპონსორებს, „მეღვინეობა ხარებას“ ხელმძღვანელებს თანადგომისა და აქტიური მხარდაჭერისთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარების საქმეში.

**დავით თოდუა**, მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრის” დირექტორი: მე, როგორც რიგითი მარტვილელი, მოხარული ვარ, რომ ასეთ მშვენიერ ფესტივალს ჩაეყარა საფუძველი. ჩვენთან, მუნიციპალიტეტში, უამრავი კარგი რამ კეთდება. უმჯობესდება ინფრასტრუქტურა, იგება გზები, ეწყობა ხიდები, რეაბილიტაცია უტარდება სასწავლო დაწესებულებებს და ა. შ. მაგრამ მოსახლეობას დღესასწაულიც სჭირდება.

* * *

„ლეგენდა მარტვილზე“ დასასრულს მიუახლოვდა.

მონაწილეებს მარტვილის სცენა არ ეთმობოდათ, საკონცერტო პროგრამის დამთავრების შემდეგაც ისმოდა ბულგარული ხალხური მელოდიები, რუსული „კალინკა“, ართვინული „ხორუმი“...

ფეიერვერკებმა დაფარეს ღამის მარტვილი.

ფესტივალი დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა ბულგარელებსა და მარტვილელებს, ლიტველებსა და ქართველებს, რუსებსა და სხვებს შორის მეგობრობა და სიყვარული, რომელიც ყოველ იმ წუთს იბადება, როცა ადამიანები ერთად მღერიან და ერთად ცეკვავენ... ეს ურთიერთობა კი ყოველგვარ პოლიტიკაზე მაღლა დგას...

90-მდე სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე, ფესტივალის მონაწილე, თავიანთ ქვეყანაში ჩაიტანს ამბავს, რომ მარტვილში და საქართველოში კეთილგანწყობილი ხალხი ცხოვრობს, და მეტიც, მათთან მეგობრობა შეიძლება...

თუ ეს ლეგენდაა დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში, დარჩეს ლეგენდად, თუნდაც „ლეგენდად მარტვილზე“...

მადლობა ამ უმშვენიერესი „ლეგენდისთვის“ ყველას, ვინც მას ქმნიდა. პირველ ყოვლისა, კი „მეღვინეობა ხარებას“.

— გაიხარეთ თქვენ, ხარებავებო, მარტვილისა და მთელი საქართველოს გახარებისთვის.

**ირანდა კალანდაძე**
**მარტვილი-თბილისი**
593 56 11 18




საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com